სახ. საბ. რესპუბ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 208 (20544) ◆ შაბათი, 2 სექტემბერი, 1989 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გავაძლიეროთ კომუნისტთა პასუხისმგებლობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა მუშაობა, რომელსაც პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტი ეწევა თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებაში პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობისა და გავლენის გასაძლიერებლად.

ხელმძღვანელობს რა XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით, ნათქვამია დადგენილებაში, პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტი მიზანდასახულად გარდაქმნის თავისი საქმიანობის სტილსა და მეთოდებს იმ მოთხოვნების საფუძველზე, რომელთა მიზანია გავაფართოოთ საჯაროობა და დემოკრატია, განვამტკიცოთ ადამიანებთან კავშირურთიერთობა, გავააქტიუროთ პარტიის ძირეული რგოლების, კომუნისტების საქმიანობა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში.

პრაქტიკად დამკვიდრდა შეხვედრები, საუბრები, დიალოგები შრომით კოლექტივებთან, მოსახლეობასთან, სხვადასხვა საზოგადოებრივ მოძრაობასთან და ფორმირებასთან. მიმდინარეობს იმ პრობლემათა გადაჭრის ახალი, არასტანდარტული გზების ერთობლივი ძიება, რომლებიც ადამიანებს აწუხებთ. კადრების შემადგენლობის განახლება, ჩვეულებრივი დემოკრატიული პრინციპებით, მასების აზრის გათვალისწინებით ხორციელდება. გაძლიერებული საზოგადოებრივი აქტიურობის, ეროვნული თვითშეგნების ზრდის რთული პირობების მიუხედავად, ქალაქში უზრუნველყოფილია შედარებით სტაბილური პოლიტიკური ვითარება.

პარტიის საქალაქო კომიტეტის საქმიანობაში სულ უფრო მეტად მკვიდრდება კონკრეტულობა, საქმიანი, შემოქმედებითი მიდგომა მომწიფებული პრობლემების გადაჭრაში, გაძლიერდა მომთხოვნელობა ხელმძღვანელი კომუნისტების მიმართ ეკონომიკისა და სოციალური სფეროს საბოლოო შედეგებისათვის. პრაქტიკად დამკვიდრდა ბიუროს წევრების ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების ანგარიშგება კომუნისტებისა და მოსახლეობის წინაშე. მიმდინარეობს ახსნა-განმარტებითი მუშაობა მეურნეობრიობის საიჯარო, საარენდო, კოოპერაციული ფორმების, სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების დანერგვისათვის. ამ მხრივ გააქტიურდა არჩევითი ორგანოების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მუშაობა.

ამასთანავე, ხაზგასმით აღინიშნა დადგენილებაში, პარტიის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა სრულად არ შეესაბამება ახლანდელი პერიოდის მოთხოვნებს. ხშირად იგი არ შეესატყვისება პარტიის წევრების, კადრების პასუხისმგებლობის გაძლიერებას მათი კონკრეტული მონაწილეობისა და წვლილისათვის იმ ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც გარდაქმნა-განახლებამ წამოჭრა. ამის შედეგად არ იგრძნობა შესამჩნევი გაუმჯობესება ეკონომიკაში, კვლავინდებურად ვერ არის დამაკმაყოფილებელი ბევრი საწარმოს და ორგანიზაციის საფინანსო მდგომარეობა, სერიოზული დისპროპორციებია საწარმოო და სოციალური სფეროს განვითარებას, სასაქონლო და ფულად მასას შორის, გრძელდება ბევრი სხვადასხვა სახეობის, მათ შორის, საყოველდღეო მოთხოვნის საქონლის დეფიციტი. ჯერ კიდევ მცირეა შრომისა და წარმოების ეფექტიანობა სოფლად, ირღვევა დისციპლინა, რთულდება ეკოლოგიური ვითარება. არ არის შემუშავებული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული გეგმა.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ჯერ კიდევ არ გადასულა კაბინეტებიდან მასების წიაღში, ვერ იწვევს კომუნისტთა და უპარტიოთა ჯეროვან ინტერესსა და აქტიურობას. შრომითი კოლექტივებში ყოველთვის როდი ეძლევა ჯეროვანი შეფასება და ახსნა-განმარტება ურთიერთობის ულტიმატურ ფორმებს, საგაფიცვო და სხვა რადიკალურ მოთხოვნებს.

ძირეულ პარტიულ ორგანიზაციებთან პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაობას აკლია სისტემურობა და თანამიმდევრულობა, ფორმებისა და მეთოდების მრავალფეროვნება. პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები და კომუნისტები ინერციით უპირატეს ყურადღებას უთმობენ სამეურნეო საკითხებს და ჯერ კიდევ ვერ გადაერთვნენ სოციალურ სფეროში, ეკოლოგიურ სიტუაციაში არსებული სიძნელეების დაძლევაზე, სულიერი ცხოვრების პრობლემების გადაჭრაზე, ჩამორჩნენ პოლიტიკურ პროცესებს, რომლებიც სწრაფად ვითარდება საზოგადოებაში, ზოგჯერ გაუბედაობასა და დაბნეულობას იჩენენ. უთმობენ რა ინიციატივას ზოგიერთ საზოგადოებრივ მოძრაობასა და ჯგუფს, პარტიული ორგანიზაციები ამით აკნინებენ თავიანთ ავტორიტეტს, არ ახორციელებენ მათთვის დამახასიათებელ როლს, საზოგადოების ავანგარდის როლს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტს შესთავაზა შეიმუშაოს რეგიონის შემდგომი განვითარების კონცეფცია, განსაზღვროს ყველაზე პრიორიტეტული დარგები, ამასთან გაითვალისწინოს რაიონული სამეურნეო ანგარიშის დანერგვა, რომელიც დაემყარება სრულ დამოუკიდებლობას, ხელს შეუწყობს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გადასვლას ეკონომიკური სუვერენიტეტის რელსებზე. კომუნისტებმა მთელი ძალ-ღონე უნდა მოახმარონ რეალური პოზიტიური შედეგების მიღწევას სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, ამასთან გაითვალისწინონ სამეურნეო რეფორმის მიმდინარეობის დაჩქარება, საზღვარგარეთთან ეკონომიკური კავშირურთიერთობის დამყარება, ერთობლივი საწარმოების შექმნა, სხვისი შრომის მითვისებლად საკუთრების სხვადასხვა ფორმების გამოყენება, სოფლად ახლებური წარმოებითი ურთიერთობის, ეფექტიანი მიწათსარგებლობის დამკვიდრება, მტკიცე გლეხურ მეურნეობათა შექმნა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რაიონის პარტიულ ორგანიზაციას მოუწოდა იმოქმედოს დამოუკიდებლად და უფრო მტკიცედ, გაითვალისწინოს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თავისებურებანი, არ დაელოდონ „ზემოდან" მითითებებს, პარტიული მუშაობის ორგანიზაციის მზამზარეულ კონკრეტულ რეცეპტებს გარდაქმნის ახლანდელ ეტაპზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოსახლეობის ოპერატიულ ობიექტურ ინფორმირებას ყველა იმ საკითხზე, რომლებიც მას აწუხებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა რეკომენდაცია გადასინჯონ პარტიულ ორგანიზაციათა არჩევითი ორგანოების წევრების შემადგენლობა, იმ ადამიანთა შერჩევის მიზნით, რომლებსაც შეუძლიათ წარმატებით იმუშაონ თანამედროვე ვითარებაში; დანერგონ ხელმძღვანელ თანამდებობებზე არჩევა და პარტიული კომიტეტის აპარატის დაკომპლექტება საკონკურსო საფუძველზე, ამასთან გაითვალისწინონ ფართო მასების აზრი, შეარჩიონ დასაწინაურებელი კადრები როგორც კომუნისტებს, ისე უპარტიოებს შორის, წესიერი მუშაკები, რომლებსაც ნამდვილად აქვთ ავტორიტეტი, იციან ადამიანებთან მუშაობა, ეძებონ ასეთი მუშაკები სხვადასხვა საზოგადოებრივ მოძრაობათა წარმომადგენლებშიც.

უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს ეროვნებათშორის ურთიერთობას, სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა შორის პატივისცემისა და კარგი ურთიერთობის დამკვიდრებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წინადადება მიეცათ ქალაქ ჭიათურის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან ერთად გაითვალისწინონ ქალაქისა და მისი ზონის შემდგომ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებასთან, აქ დაგროვებული დისპროპორციებისა და მნიშვნელოვანი ჩამორჩენის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლისა და XIII ხუთწლედის გეგმების შემუშავების პროცესში.

მთავრობის კომისიას (ო. ვ. ქვილითაია) რჩევა მიეცა დააჩქაროს იმ საკითხთა კომპლექსის შესწავლა, რომლებიც ეხება სამთომომპოვებელი მრეწველობისა და „ჭიათურმანგანუმის" კოლექტივის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას, ამ რეგიონის ეკოლოგიურ ვითარებას, გარემოსათვის მიყენებული ზიანის გამოსწორებას, აგრეთვე ამ მხრივ არსებული მწვავე პრობლემების დაუყოვნებლივი გადაჭრის წინადადებათა მომზადება.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაევალათ შეიმუშაონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა გარდაიქმნას თანამედროვე პირობებში პარტიული მუშაობის სტილი და მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტიულ ორგანიზაციათა ბრძოლისუნარიანობის და გავლენის ზრდას. (საქინფორმი).

როცა ტბას პატრონი ჰყავს

პალიასტომი. ეს ტბა, რომელიც თითქმის ორი ათას ჰექტარზე გადაჭიმულა კოლხეთის დაბლობის შუაგულში — ქალაქ ფოთთან, ოდითგანვე განთქმული იყო თევზით, ხოლო მის ნაპირებზე უდაბურ უნიკალურ ტყეებში ბინადრობდა ნადირ-ფრინველი — აქ თვით მეფენიც ნადირობდნენ, რომ არაფერი ვთქვათ ადგილობრივ თავად-აზნაურობაზე. წავიდა დრონი. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ტბა გაღარიბდა, რადგან ტყეებს ბარბაროსულად ჩეხავდნენ, უხეშად ირღვეოდა ეკოლოგიური რეჟიმი. და აი, საქართველოში ეს უდიდესი ტბა ლამის დაღუპვის პირას აღმოჩნდა. და, მართალია, მას პატრონი ბევრი ჰყავდა, მაგრამ ტყუილად ხომ არ უთქვამთ: ორ ძიძას შუა ბავშვი დაიხრჩოო..

დიდი გაჭირვების შემდეგ ტბას, ბოლოსდაბოლოს, გამოუჩნდა ნამდვილი პატრონი — ფოთის თევზსაჭერი კოლმეურნეობა „კოლხეთი", რომელიც დაადგა ძვირფასი ჯიშის თევზის მომრავლების, სრულსისტემიანი სასაქონლო თევზის მეურნეობის შექმნის კურსს. ინკუბაციით დაწყებული და სასაქონლო პროდუქციით დამთავრებული — აი, რას ნიშნავს სრულსისტემიანი მეურნეობა. აქ აპირებენ ტბის ყოველ კვადრატულ მეტრზე მიიღონ დაახლოებით ათი კილოგრამი ძვირფასი ჯიშის თევზი, ანუ წელიწადში სამასი ტონა, რაც კოლმეურნეობას საშუალებას მისცემს ერთი წლის განმავლობაში დაფაროს დანახარჯები.

მაგრამ საქმე მარტო ეკონომიკა როდია. მებადურები შეუთანხმდნენ მეცნიერებს ზედმიწევნით შეისწავლონ პალიასტომის ეკოლოგიური თავისებურებანი, დასახულია ტბისა და მისი მიდამოების ფლორისა და ფაუნის დაცვის პროგრამა.

სურათებზე: მჭიდრო კონტაქტით მუშაობენ სახელმწიფო საზღვაო ინსპექციის კაპიტანი იური კაპანაძე და პალიასტომის ტბის თევზის დაცვის ინსპექტორი სულიკო რუხაძე; სანაპირო თევზჭერის ბრიგადა, რომელსაც კოტე გოგელია ხელმძღვანელობს, ბადეს იღებს.



რუსთაველის საზოგადოებაში

რუსთაველის საზოგადოების ყრილობა გაიმართება 4 და 5 სექტემბერს ქ. თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

ყრილობის დელეგატების ხელახალი რეგისტრაცია მოხდება: თბილისელი დელეგატებისათვის 2 სექტემბერს დილის 10 საათიდან 19 საათამდე, რუსთაველის საზოგადოების შენობაში (რუსთაველის პრ. 37). სხვა რაიონებიდან და ქალაქებიდან არჩეული დელეგატებისათვის — 3 სექტემბერს დილის 11 საათიდან 19 საათამდე, სასტუმრო „ვაკეში".

ყრილობის ძველი მოსაწვევები გაუქმებულია.

ყრილობის დღის წესრიგშია:

1. რუსთაველის საზოგადოების წესდების დამტკიცება;
2. რუსთაველის საზოგადოების პროგრამის დამტკიცება;
3. საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტის კონცეფციის განხილვა;
4. სხვადასხვა.

ჩაი — 89

დრო ცოტა დარჩა, საქმე კი მოძალებულია

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის რეიდი წყალტუბოსა და ხონში

ჩაის კრეფას და გადამუშავებას ახლა დამამთავრებელი ეტაპი დაუდგა. სწორედ ამ დროს, მესამე ვეგეტაციისას, ვესტუმრეთ ხონისა და წყალტუბოს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, გადამამუშავებელ ფაბრიკებს.

გარჯას ვერ დაუწუნებ აქაურ მეჩაიეებს, საქმის ორგანიზატორებმაც დროული თადარიგი დაიჭირეს სეზონისათვის მოსამზადებლად. შედეგებიც არ არის ცუდი. ხონში, მაგალითად, 28 აგვისტოსათვის მოკრეფილია 7681 ტონა ჩაი, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 1405 ტონით აღემატება და წლიური გეგმის 88 პროცენტია. ურიგოდ არ გამოიყურება ხარისხობრივი მხარეც — პირველი ხარისხის ჩაი მოკრეფილის 53,3 პროცენტია.

რეიდის მონაწილეთა ყურადღება მიიპყრო მათხოჯის, დედელაურის, ივანდიდის, წულუკიძის კოლმეურნეობებში, მეცხოველეობის კომპლექსში ჩაის პლანტაციების მოვლის კარგმა კულტურამ, კეთილსინდისიერმა შრომამ, შერჩევითი კრეფის მაღალმა ტემპმა. მოვალეობისადმი ამგვარი დამოკიდებულების წყალობაც არის, რომ უპირველესად სწორედ აღნიშნული კოლექტივები ზრდიან რაიონის მაჩვენებლებს.

განსაკუთრებით კი ხონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივი გამოირჩევა. როცა ამ მეურნეობის ჩაის პლანტაციებს ვეწვიეთ, გვესიამოვნა თეთრხალათიანი ქალების ენერგიული შრომა. მარტო კი არ კრეფდნენ, უკვე აქედანვე ამზადებდნენ ბუჩქებს მომავალი სეზონისათვის. ახლა ასეთი სამუშაო მთელ 129 ჰექტარზე მიმდინარეობს, რათა 1990 წლის მოსავალი უკეთესი იყოს. წლეულს კი ახალი დირექტორის ზაურ სალარიეშვილის ორგანიზატორული უნარით და, როგორც თვითონ ამბობს, რაიონის ხელმძღვანელთა დიდი პრაქტიკული დახმარებით მეურნეობამ პირველად შესძლო რეალობად ექცია სახელმწიფო გეგმის შესრულება. ადრე ამ პლანტაციებს მსჯავრდადებულები უვლიდნენ. როცა ისინი რაიონიდან გაიყვანეს, ხელშესახებად გამოიკვეთა მუშახელის დეფიციტი. მის შევსებას დიდად შეუწყო ხელი იჯარულ ურთიერთობაზე დაფუძნებულმა შრომის ანაზღაურების პირობებმა, იმანაც, რომ აჭარიდან ჩამოსახლებული 320 ოჯახი ნამუსიანად მოეკიდა შრომის ახალ სახეობას და რაიონის ინტერესებს, ასეთმა მიდგომამ სრულმოსავლიანი გახადა 130 ჰექტარი გატყევებული ჩაის პლანტაცია.

მეურნეობის დირექტორს, ხალხს დიდი იმედი აქვთ, რომ სეზონის ბოლომდე გეგმის ზევით მოკრეფენ 250-300 ტონა ჩაის ხარისხოვან ფოთოლს. ეს მით უფრო საჭიროდ მიაჩნიათ, რომ ადრე ყოველთვის ზარალიან მეურნეობას დღეს განსაკუთრებით სჭირდება ფინანსური მდგომარეობის განმტკიცება. საქმე ის არის, რომ აჭარიდან ჩამოსახლებულ ოჯახებს არა აქვთ სინათლე, წყალი, გზა, საკმაო რაოდენობით დროებითი საცხოვრებლები. საამისოდ კი არ კმარა ის 232 ათასი მანეთის მოგება, რომელიც მეურნეობის ისტორიაში პირველად წლეულს, 6 თვის შედეგებით მიიღეს. იმედოვნებენ იმასაც, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების კოლონიების სამმართველო შეძლებს გაისტუმროს მათი ვალი — 829 ათასი მანეთი, დიდად გაგვიკვირდა, რომ მეურნეობა, რომელიც 4 მილიონამდე მანეთის პროდუქციას აწარმოებს, წლიდან-წლამდე არავითარ საშენ მასალას არ ღებულობს. მაშ, როგორ განახორციელოს სოციალური ღონისძიებები, რაც ესოდენ არის საჭირო კოლექტივის წევრებისათვის?

რაიონს უკეთესი მაჩვენებელიც ექნებოდა, ყველა კოლექტივი რომ ასეთი მონდომებით შრომობდეს. გვინდა ვერწმუნოთ ახალშენის საბჭოთა მეურნეობის, გუბისა და კუხის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს ელდარ ლორიას, მიხეილ ცაგურიას და ლევან გენძეხაძეს, რომ ჩაის მოსავლიანობასა და ხარისხზე უარყოფითი გავლენას ახდენს აქაური რელიეფიც და კლიმატის ჭირვეულობაც, მაგრამ როცა შემოწმებისას მათი პლანტაციები დავათვალიერეთ, დავრწმუნდით, რომ საკმაოდ დიდ ფართობებზე ჩაის ბუჩქს აშკარად აკლია მზრუნველი ხელი, იქაურობა ეკალ-ბარდებით და მოძალებული ბალახით იყო სავსე. თუმცა ჩაის დუყები შერჩევითი კრეფისათვის იწვევდნენ ადამიანებს, მკრეფავი არ ჩანდა. ასე ცოტ-ცოტობით აკლდება საქმეს კილოგრამები, რაც საბოლოო ჯამით ტონებს შეადგენს და ეს დანაკლისი უკან სწევს საშურ საქმეს.

ხონის № 2 ჩაის ფაბრიკის მშენებლობის დაბალ ტემპზე ადრეც ვწერდით. უკეთესი მდგომარეობა არც ამჟამად დაგვხვედრია. № 21 მოძრავ-მექანიზებული კოლონის უფროსი ა. მანჯგალაძე კი იმედოვნებს, რომ წლეულს, დეკემბრის ბოლოს, მაინც დამთავრდება ფაბრიკის მშენებლობა, თუ საშენი მასალებით შეფერხებებით არ მოგვამარაგებსო.

ამდენმა სათუო მდგომარეობამ საკმარისად გააჭიანურა ფაბრიკის მშენებლობა და ახლა განსაკუთრებით საჭიროა მშენებლებისა და დამკვეთის ერთობლივი ძალისხმევა, რომ იგი მომავალი სეზონისათვის ნამდვილად ამოქმედდეს. მითუმეტეს, რომ რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანება, ჩაის ფაბრიკების სიმძლავრეთა უკმარისობის გამო პიკის დღეებში იძულებულია მიმართოს ნედლეულის მიღება-ჩაბარებას ე. წ. „მცოცავ გრაფიკს" და ჩაის ფოთოლი გადასამუშავებლად ერთიდან მეორე ფაბრიკაში გადაანაწილოს. წლეულს, მაგალითად, გუბის ჩაის ფაბრიკამ ივანდიდის ჩაის ფაბრიკიდან 6-ჯერ დამატებით მიიღო 19631 კილოგრამი ნედლეული, წულუკიძის ფაბრიკიდან კი — 2421 კილოგრამი.

დავათვალიერეთ ქ. წყალტუბოს ზონის ჩაის პლანტაციებიც. ფართობები აქაც ძირითადად მოვლილია. ბევრგან დროულად და ხარისხიანად ჩატარდა მძიმე და ნახევრადმძიმე გასხვლები, სხვა აგროტექნიკური ღონისძიებები. იმავე 28 აგვისტოსათვის მოკრეფილი ჰქონდათ 8446 ტონა ნედლეული, რაც წლიური გეგმის 79,6 პროცენტია.

დაწინაურდნენ ქვილიშორის, წყალტუბოს კიკვიძის სახელობის და სორმონის კოლმეურნეობები. მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით გვიშტიბის, მაღლაკის ლენინისა და რუსთაველის სახელობის, აგრეთვე ფარცხანაყანევის საბჭოთა მეურნეობებზე.

გვიშტიბის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ფართობებში ჩაის პლანტაციები ბევრგან ეკალ-ბარდებით იყო სავსე.

— ეს ბუჩქები, წლეულს უნდა გავსხლათ, რომ მომავლისათვის ივარგოსო, — აგვიხსნა კოლმეურნეობის აგრონომმა ანზორ სილაგაძემ.

— კი, მაგრამ, შარშან არ შეიძლებოდა ამის გაკეთება.

— როგორ არა!

— მაშ, რამ შეგიშალათ ხელი?

კითხვა უპასუხოდ დარჩა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვაჟა ბობოხიძემ ერთ-ერთ ფართობში ჩაის ფოთლებს სიყვითლე შენიშნა და...

— კალიუმის შეტანა დავაკლით, — განმარტავს აგრონომი რომან აფხაძე.

წყალტუბოს ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში მეჩაიეები კანტიკუნტადღა ჩანდნენ.

გზად პენსიონერ ელენე კინწურაშვილს წამოვეწიეთ და ვკითხეთ, რატომ არ იყო ხალხი გამოსული ჩაის საკრეფად.

— ამ დილით წვიმდა, გამოდარებას ვინღა დაელოდა, ვინ ქათამი, ვინ კიდევ ბოსტნეული წაიღო ბაზარში გასაყიდადო.

ასეა, ჩაის პლანტაციების ერთი ნაწილი დროულად არ გავსხლით, მეორე დროულად არ გავწმინდეთ, მესამე ასევე დროულად არ დავკრიფეთ, მეოთხეს კალიუმი დავაკელით და... საქმეც ფუშდება.

დრო კი ცოტა დარჩა და ახლა ნამდვილად ხელებდაკაპიწებული შრომაა საჭირო, რომ ხარისხიანი ჩაის ფოთოლი არ დავაკლოთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას.

ხარისხში კი სცოდავენ აქაური მეჩაიეები. გადამამუშავებელმა ფაბრიკებმა უკვე 70 ტონამდე ჩაი დაუბრუნეს კოლექტივებს ხელახალი გადარჩევა-დახარისხებისათვის. ამ მხრივ მეტად სცოდავენ რიონის, გვიშტიბის, ქვილიშორის, ცხუნკურის კოლმეურნეობები, ჩაის საბჭოთა მეურნეობა და სხვები.

არადა, ხარისხი წლევანდელი სეზონის უმთავრესი მიზანი და საზრუნავია!

რეიდის მონაწილენი: იზა ბარაბაძე — ხონის აგროსამრეწველო გაერთიანების წამყვანი აგრონომი; **ბიული კოტიშაძე** — ამავე გაერთიანების მთავარი ინჟინერ-მექანიკოსი; **ოლეგ იმედაძე** — წყალტუბოს აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე; **ავთანდილ უგლავა** — წყალტუბოს სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის ინსპექტორი; **პაატა თევდორაძე** — „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

სიტყვა პარტიის ეროვნულ პლატფორმაზე

კავშირიდან რესპუბლიკისაკენ, თუ პირუკუ?

სკკპ პლატფორმის პროექტი ეროვნული პოლიტიკის შესახებ დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური დოკუმენტია.

პროექტის ქვეთავში — „რა მემკვიდრეობა გვერგო" ეროვნებათაშორის ურთიერთობის ახლანდელი პრობლემების არსებობა დაკავშირებულია „ერთა დაჩქარებული დაახლოების თეორიულ მიზანდასახულობასთან". იქმნება შთაბეჭდილება, რომ არ არის უარყოფილი ერთა დაახლოებისა და შერწყმის საბოლოო მიზანი. ამას კი განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც სწორედ ასეთი მიზნის არსებობამ წარმოშვა ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში მისი მიღწევის ვოლუნტარისტული გზები.

ქვეთავში — „როგორ გარდავქმნათ და სისხლსავსე გავხადოთ საბჭოთა ფედერაცია" ფედერაციის სტაბილურობისა და წარმატებული განვითარების პირობად მითითებულია მოკავშირე რესპუბლიკებისა და სსრ კავშირის, როგორც მთელის უფლებათა ოპტიმალური თანაფარდობა. რესპუბლიკებს გადაეცემათ ყველა უფლება, რომლებიც შეესაბამება მათს, როგორც სუვერენული სოციალისტური სახელმწიფოს სტატუსს იმათ გარდა, რომლებსაც ისინი ნებაყოფლობით გადასცემენ კავშირის გამგებლობაში. პლატფორმის პროექტის მიხედვით შემდეგ ირკვევა, რომ ამ უფლებებს ფაქტობრივად ცენტრი განსაზღვრავს. განა არ აჯობებდა საბჭოთა ფედერაციის განახლების ეპოქაში ჯერ მოკავშირე რესპუბლიკებისათვის გვეკითხა დღევანდელ ეტაპზე, რა უფლებათა შენარჩუნებას მოითხოვენ თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით, კომპეტენციათა როგორ გამიჯვნას თვლიან მიზანშეწონილად?

საკითხის ასეთი გადაწყვეტა იმიტომაც არის აუცილებელი, რომ მომავალში სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს ხშირად არ მოუწიოს სსრ კავშირის კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ ცნოს მოკავშირე რესპუბლიკათა ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები. საკმარისია გავიხსენოთ ესტონეთში მიღებული კანონები, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ იქნა ცნობილი. მართალია, ამ გზით იოლად მოხერხდა ის, რომ ამ კანონებმა იურიდიული ძალა ვერ მიიღო, მაგრამ, ვფიქრობთ, ამით პრობლემა ვერ გადაიჭრა. პრობლემა კი სწორედ ისაა, რომ მოკავშირე რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ მიიღო ისეთი კანონი, რომელიც სცილდებოდა მისი კომპეტენციის ფარგლებს. ეს ხომ იმაზე მიუთითებს, რომ რესპუბლიკებს დღევანდელ ეტაპზე აღარ აკმაყოფილებს საკუთარი კომპეტენცია და კავშირისათვის ნებაყოფლობით გადაცემული ზოგიერთი უფლების დაბრუნებას მოითხოვენ. იქნებ მართლაც მომწიფდა პირობები იმისათვის, რომ დაიდოს ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება? რესპუბლიკებმა შეიძლება მიზანშეწონილად ცნონ შეკავშირების ახალი ფორმებიც, მაგალითად, კონფედერაცია.

პროექტში განხილულია რესპუბლიკებისა და ფედერაციის ურთიერთდამოკიდებულებათა საკითხები და მითითებულია, რომ მოკავშირე რესპუბლიკას აქვს უფლება დასვას საკავშირო კანონის გაუქმების საკითხი, თუკი ის სცილდება კავშირის უფლებამოსილებათა ფარგლებს. ვფიქრობთ, აუცილებელია რესპუბლიკებს მიეცეთ ასეთი კანონის მოქმედების შეჩერების უფლება და არა მხოლოდ საკითხის დასმისა, მით უფრო, რომ არ არის განსაზღვრული კანონის გაუქმების მექანიზმი.

ასევე გაურკვევლობას იწვევს კონსტიტუციაზე ზედამხედველობის კომიტეტის მიერ კონსტიტუციური სასამართლოსათვის დამახასიათებელი ფუნქციების (საკავშირო და რესპუბლიკური ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს შორის უთანხმოებათა გადაწყვეტა) განხორციელების გარანტიები. კონსტიტუციური სასამართლო, როგორც ყოველი სასამართლო უნდა იყოს დამოუკიდებელი ორგანო. თუ მის წევრებს აირჩევენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა შემადგენლობიდან (როგორც მოსალოდნელია), იგი დაუინტერესებელი ვერ იქნება. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები განასახიერებენ საკავშირო ხელისუფლებას, ამიტომ მათგან დაკომპლექტებული სასამართლო გადაიქცევა საკავშირო ხელისუფლების აპარატად ანუ თვით მოდავე მხარედ, რაც დაუშვებელია. კონსტიტუციური სასამართლოს წევრებს უნდა ნიშნავდნენ მოკავშირე რესპუბლიკათა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები ყოველი რესპუბლიკიდან მკაცრად განსაზღვრული თანაბარი რაოდენობით ან ირჩევდეს რესპუბლიკის მოსახლეობა რეფერენდუმის გზით. თითოეული წევრის კომპეტენცია უნდა სცნოს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ და ამ წესით აღიაროს სასამართლოს უფლებამოსილება. მან უნდა მიიღოს სასამართლოსათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული სტატუსი. არ უნდა იყოს ანგარიშვალდებული ხელისუფლების წინაშე, დაემორჩილება მხოლოდ კანონს და ანგარიშვალდებული იქნება მხოლოდ ხალხის წინაშე.

ევა გოცირიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ინსპექტორი.

მწვავე სიგნალი

ხიზნები?!.

ანუ ადიგენში ჩამოსახლებულ სტიქიით დაზარალებულთა გასაჭირი

აჭარიდან ჭარბი მოსახლეობა ადიგენის რაიონის სოფლებში დიდი ხანია გადმოდის საცხოვრებლად. ეს პროცესი აქამდე უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა და არავითარ გართულებებს არ ქმნიდა. საქმე ის იყო, რომ ახალმოსახლენი თავიანთი სახსრებით იძენდნენ და იგებდნენ კარ-მიდამოს, ყიდულობდნენ მიტოვებულ სახლებს. რაიონის შესაბამისი სამსახურებიც საჭიროებისას ეხმარებოდნენ მათ საშენი მასალებით, შესაძლებლობის ფარგლებში მსურველებს კრედიტებსაც აძლევდნენ. ასე გაჩნდნენ ახალმოსახლეები მოხეში, ჭელაში, ზარზმაში და ა. შ.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე კი, როდესაც მთიან აჭარას სტიქიამ შემოუტია, დამეწყრილი, დანგრეული სოფლების გვერდით ეგრეთ წოდებული „საშიში ზონის" უბნები და სოფლებიც გაჩნდა, სადაც ხალხის საცხოვრებლად დატოვება შემდგომში შეუძლებელია. ასეთი ადგილებიდან ადიგენელები მიიღებენ 50 ოჯახს, რომელთაგან წლეულს მხოლოდ 8 ოჯახი ჩამოსახლდა სოფელ ქიქინეთში. ეს ასეა, თუ ჩამოსახლებაში მხოლოდ ჩაწერას და საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფას ჩავთვლით. პრაქტიკულად კი მხოლოდ ერთი ოჯახია დაბინავებული, რომელმაც მიტოვებული კარმიდამო შეისყიდა. დანარჩენებს ჯერ მხოლოდ სახლის საძირკვლები აქვთ გაჭრილი, ცხოვრებით კი სოფლის დაწყებითი სკოლის შენობაში ცხოვრობენ, სადაც იმდენად ცუდი პირობებია, რომ ღამის გასათევად იქ მხოლოდ მამაკაცები რჩებიან, ხოლო ქალები „ბებიასთან" — ნინო ფილიშვილთან იძინებენ, რომლის სიკეთე და ქველმოქმედება კარგად არის ცნობილი. მაგრამ ეს, ცხადია, არ ეყოფათ ახალმოსახლეებს. მათ სჭირდებათ თავიანთი ბინები, პირუტყვის სადგომი და, საერთოდ, ყველაფერი ის, რაც ნორმალური ცხოვრებისა და პროდუქციის შექმნისათვის არის საჭირო.

ამისათვის კი, ბევრ სხვა რამესთან ერთად, საშენი მასალებიცაა საჭირო, რაც ძალიან ჭირს. ჯერჯერობით მხოლოდ 20 ტონა ცემენტი გამოინახა. სამასალე მერქანი კი გამოუყვეს, მაგრამ მისი ტყიდან გამოტანა გაძნელდა, რადგან ჭირს ტრანსპორტი, საწვავი, მით უმეტეს ახლა, როდესაც ტექნიკაც და ადამიანებიც მოსავლის აღებით არიან დაკავებული. არადა, ზამთარი კარს არის მომდგარი. საქმეს ისიც ართულებს, რომ მათი გადმოსახლება ისეთ პერიოდს დაემთხვა, როცა რაიმეს დათესვა ვერც ძველ ადგილზე შეძლეს და ვერც ქიქინეთში მოასწრეს. სტიქიით დაზარალებულებს მოსატანიც არაფერი ჰქონდათ ბევრი და ახალ ადგილზეც ვერაფერი მოიწიეს. ამიტომ მათ პროდუქტებითა და პირუტყვის საკვებით მომარაგებაც სჭირდებათ.

კარგად არის ცნობილი, თუ მრავალი ობიექტური ხელშემშლელი მიზეზის მიუხედავად რამდენი რამ და როგორი გულმოდგინებით კეთდება ახალ ადგილებში აჭარელ ხიზანთა დასახლკარებისათვის. მაგრამ თუ ჯავახეთის სოფლებში მათს დასახლებას ხელს უმართავს სრულიად საქართველო, ქიქინეთში ეს პროცესი მხოლოდ იმ ფონდებისა და კრედიტების ხარჯზე მიმდინარეობს, რომლებიც ადიგენის რაიონს აქვს და, რომლებიც, როგორც ჩანს, სრულიადაც არ კმარა.

ხე-ტყის საშენი მასალა ადიგენში არ გაუჭირდებათ, მხოლოდ მოსახლეობისათვის მისი მისაყიდი ფონდების გადიდებაა საჭირო. რაც შეეხება ცემენტს, შიფერსა და თუნუქს, იგი მათ დამატებით უნდა გამოეყოთ, როგორც მომავალი წლისათვის, ისე ახლავე, რათა შეძლონ თავიანთი საცხოვრისების აგება. დაწყებითი სკოლის შენობა ხომ ოქტომბრიდან მოსწავლეებს დასჭირდებათ. ხოლო რაც უნდა კეთილგანწყობილი იყოს ქალბატონი ნინა ფილიშვილი, ზამთარში მისი ბინა 8 ოჯახს ნამდვილად ვერ დაიტევს. მათი ბედის ანაბარად მიტოვება კი დაუშვებელია და არც ეკადრებათ ადიგენელებს.

ელგუჯა კოპაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

„კომუნისტის" ანკეტური გამოკითხვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახვედრად

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმი განიხილავს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობის აქტუალურ საკითხებს. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის" რედაქციამ ხუთი კითხვით მიმართა პარტიული აქტივის, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. ვბეჭდავთ ამ კითხვებს და მათზე გაცემული პასუხების მეორე ნაკვეთს.

1. როგორ აფასებთ რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებას 9 აპრილის, აფხაზეთის, ქვემო ქართლისა და სხვა მოვლენების შემდეგ, თქვენი აზრი რესპუბლიკის ყოფილ პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელობაზე, რამ განაპირობა ურთიერთნდობის დეფიციტი, რა ვიღონოთ ვითარების ნორმალიზაციისათვის?

2. შეესაბამება თუ არა ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში მიმდინარე ცვლილებების ტემპი გარდაქმნის მოთხოვნებს, ბოლო დროს გადადგმული კონკრეტული ნაბიჯებიდან რას გამოყოფდით საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის, პოლიტიკური სუვერენიტეტის გაფართოების, ერთაშორისი ურთიერთობის მოგვარების თვალსაზრისით?

3. საჯაროობის გაღრმავების კვალობაზე როგორ აღიქვამთ გაფიცვებსა და დემონსტრაციებს, პროტესტის სხვა გამოვლინებებს, რა დამოკიდებულება გაქვთ სხვადასხვა სოციალურ ფენასა თუ საზოგადოებრივ ჯგუფთან, როგორ იყენებთ დიალოგისა და პაექრობის ფორმებს მთელი საზოგადოებრივი ძალების კონსოლიდაციისათვის?

4. ნეგატიური მოვლენებიდან რომელია ყველაზე სახიფათო დღეს, რა ზომებს იღებთ მათ წინაალმდეგ, საერთოდ რა კეთდება რეგიონის სულიერი და ზნეობრივი კლიმატის გაჯანსაღებისათვის?

5. თქვენი აზრით, რა გზები არსებობს პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ძირეული გარდაქმნისათვის, ჩატეხილი ხიდის განმრთელებისათვის, პარტიის როლის ამაღლებისათვის?

საიდან — საით?

ფიქრი და განსჯა სახალხო სატკივარზე

ნაკვეთი მეორე

ანატოლი ჩეხოევი,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი:

1. 9 აპრილის, აფხაზეთისა და ქვემო ქართლის ამბების შემდეგ რესპუბლიკაში ძალზე რთული და დაძაბული ვითარება შეიქმნა. ამან გამოიწვია საქართველოს სხვა რეგიონებშიც, მათ შორის ჩვენს ოლქშიც, საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის გამძაფრება. ეროვნებათაშორისი ურთიერთობის დესტაბილიზაციის თვალსაზრისით განსაკუთრებული ზეგავლენა ჰქონდა ოსი ხალხის მიმართ პრესაში დაშვებულ შეურაცხმყოფელ გამოსვლებს, ზოგჯერ გამოთქმულ გაუმართლებელ განცხადებას ავტონომიის ლიკვიდაციის შესახებ და ა. შ. მაგრამ ქართველი და ოსი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა ამ დესტაბილიზაციის ფაქტორებზე ძლიერი აღმოჩნდა.

დღეს ძნელია ერთმნიშვნელოვანი შეფასება მივცეთ რესპუბლიკის ყოფილი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის საქმიანობას, ვფიქრობ, ობიექტური სურათი გაირკვევა 9 აპრილის ტრაგედიის მიზეზებთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე შექმნილი კომისიების მუშაობის შედეგების განხილვისას.

შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის საშუალება ისაა, რომ ერთი მხრივ, უნდა ვაწარმოოთ დიალოგი მასებთან მტკივნეულ საკითხებზე, ვეძებოთ პრობლემების გადაჭრის გზები, ხოლო, მეორე მხრივ, კანონის მთელი სიმკაცრით მოვკითხოთ მას, ვინც უბიძგებს უწესრიგობას, აღვივებს ერებს შორის შუღლს და ეს მარტო ჩემი კი არა, არამედ ოლქის ყველა კომუნისტისა და მშრომელის აზრია.

2. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობა გულახდილ დიალოგს მიმართავს მოსახლეობის ყველა საზოგადოებრივ ფენასთან, მათ შორის არაფორმალებთან. სწორედ ეს უწყობს ხელს ვითარების სტაბილიზაციას. საკუთარი გამოცდილებითაც დავრწმუნდი, რომ მხოლოდ ხალხთან დაახლოება და მისი მოსაზრების გათვალისწინებაა წარმატების საწინდარი.

ცვლილებათა ტემპი სასურველზე დაბალია. ბევრი საწარმო მზად არ აღმოჩნდა ახალ პირობებში მუშაობისათვის, ამის მიუხედავად, სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების დაჩქარების გზების ძიება აქტიურად მიმდინარეობს. ბოლო წლების მანძილზე, მხოლოდ წლეულს 7 თვის მონაცემების მიხედვით მივაღწიეთ სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების ყველა მაჩვენებლის ზრდას, რაც იმის საშუალებას გვაძლევს, რომ მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ მოსახლეობის მომარაგება კვების პროდუქტებით: ასევე 7 თვეში სამრეწველო საწარმოებმა მოგების გეგმა შეასრულეს 94 პროცენტით, შარშან ამ დროს კი ეს მაჩვენებელი იყო მხოლოდ 62 პროცენტი.

ამჟამად ვამუშავებთ ოლქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამას, რომლის რეალიზაცია საშუალებას მოგვცემს ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლებით გავიდეთ საშუალო რესპუბლიკურ და საკავშირო დონეზე.

3. ეკონომიკური სუვერენიტეტისათვის ბრძოლის პირობებში გაფიცვებს დიდი ზიანი მოაქვს. ჩემი აზრით, დემოკრატია უპირველესად ნიშნავს დისციპლინის განმტკიცებას და იმის შესაძლებლობას, რომ საკუთარ თავს რაიმე აუკრძალო. ზოგიერთს კი დემოკრატიად მიაჩნია იმის კეთება, რაც მოესურვება. მაგრამ ეს ანარქიაა და იგი არ უნდა დავუშვათ.

დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პროცესების გაღრმავება მოითხოვს მუშაობის ფორმებისა და სტილის სრულყოფას მოსახლეობის სხვადასხვა ფენასთან. ჩვენ გულახდილი დიალოგისა და დისკუსიის ერთგული ვრჩებით არაფორმალებთან, ახალგაზრდობასთან, ინტელიგენციასთან ურთიერთობაში. აკრძალვების, ზემოდან ცქერის ძველი მეთოდები წარსულს ბარდება, მის ადგილს იჭერს ურთიერთგაგების სურვილი, თანადგომა, გულწრფელობა, ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვა. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ მთელი საზოგადოებრივი ძალების კონსოლიდაციას.

ეროვნებათაშორისი საკითხების გადაწყვეტისას ყოველთვის უნდა ვითვალისწინებდეთ თანაბარი უფლებების პრინციპებს. ამის შესახებ ერთხელ კიდევ არის გამოკვეთილად ნათქვამი პარტიის ეროვნული პლატფორმის პროექტში. არ შეიძლება გადაწყდეს ერთი ერის პრობლემები მეორე ერის ინტერესების საზიანოდ, არაფრით არ უნდა დავუშვათ ეროვნული ღირსების შელახვა. ეს კარგად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა და მით უმეტეს ჩვენ უფლება არა გვაქვს სხვანაირად მოვიქცეთ.

4. ნეგატიური მოვლენებიდან ყველაზე საშიში ამჟამად არის ერთა შორის შუღლის გაღვივების ცდა. ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანოები კონკრეტულ ზომებს იღებენ იმისათვის, რომ აღიკვეთოს მოვლენათა არასასურველი განვითარება, ხალხს განუმარტონ სიმართლე. გამოჩნდნენ, მაგალითად, ისეთებიც, რომლებმაც გაავრცელეს ხმა თითქოს მზადდება თავდასხმა სამხრეთ ოსეთზე და ოსების მეზობლად მდებარე რაიონებზე. ეს სიყალბე რომ გაგვეფანტა, პარტიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობა შეხვდა ხალხს, საოლქო საბჭოს აღმასკომის მუშაკები მონაწილეობდნენ თბილისში, კინოს სახლთან გამართულ მიტინგში, ჩვენი წარმომადგენლები შეხვდნენ გორისა და გორის რაიონის, აგრეთვე ხაშურის, ონის, კასპის რაიონების მშრომელებს, ცხინვალში გაიმართა მეგობრობის მიტინგი და „მრგვალი მაგიდა" ეროვნებათაშორის საკითხებზე. ყოველივე ამან, ბუნებრივია, ხელი შეუწყო დაძაბულობის განმუხტვას, ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის განმტკიცებას.

ყველა ნეგატიური მოვლენის დაძლევის უტყუარი პირობაა საზოგადოების ჯანსაღი ძალების ერთსულოვნება, მიზანმიმართული მუშაობა ზნეობრივი სრულყოფისათვის.

5. სკკპ XXVII ყრილობის, XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებში პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის სრულყოფის მწყობრი სისტემაა ჩამოყალიბებული, მაგრამ ადგილებზე ამ მხრივ გაწეული მუშაობა არ შეეფერება გაზრდილ მოთხოვნებს. კერძოდ, ეს ეხება ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინაალმდეგ ბრძოლას.

ჩემი აზრით, პარტიული ლიდერი სათანადო ავტორიტეტს რომ ფლობდეს, ამისათვის საჭიროა უჩვენებდეს პირად დადებით მაგალითს, მისი სიტყვა და კონკრეტული საქმე არ უნდა შორდებოდეს ერთმანეთს, საჭიროა მას შეეძლოს ვითარების გაანალიზება და პროცესების მართვა, მან უნდა დატოვოს კაბინეტი და მუდმივად იმყოფებოდეს მასების შუაგულში, იცოდეს ადამიანების საჭიროებანი და, რაც მთავარია, პარტიულ ლიდერს მოეთხოვება გაბედულება, კომპეტენტურობა, ყველაფრის აწონ-დაწონვა, მოთმინება.

რევაზ ინანიშვილი,

მწერალი, ჟურნალ „დილას" რედაქტორი:

1. მძიმეა, ძალიან მძიმე საქართველოს დღევანდელი ყოფა. მრავალჯერ დასდგომია მძიმე დღეები ჩვენს სამშობლოს. ეს ის ქვეყანაა, სადაც მტკიცედ არის ჩამოყალიბებული აზრი — კარგი რომ გჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო. მოდიოდნენ და მოდიოდნენ ათასი ჯურის მტრები — ჯარებით, იარაღით, აშკარა მტრული მიზანდასახულებით. ყველაფერი იყო კონკრეტული, შესაძლებელი იყო მისი აღქმა, დათვლა, შეფასება. კონკრეტული ძალის წინაალმდეგ საჭირო ხდებოდა კონკრეტულივე ძალების წარგზავნა. დღეს კი სულ სხვაა. დღეს საქართველოს, თავად სხვის ხელებში შემყურეს, უნდათ ისეთი ბრძოლები მოახვიონ თავს, თითქოსდა თავად ყოფილიყოს იმპერიასავით რაღაც, თავად ყოფილიყოს სხვა ერების შთანმთქმელი, მჩვალებელი. თანამედროვე სამართალი დაურიდებელია თვით დიდთა ამაქვეყნისათა წინაშე. გვჩხრეკავენ, გვართმევენ სანადირო თოფებს, შეშფოთებულნი იუწყებიან მათ რაოდენობას — ასორმოცდაათი, ორასი; სადღაც ვიღაცებს აღმოუჩენენ ათ საბრძოლო თოფსაც, კიდევ უფრო მეტი — აღმოჩნდება ორი თუ სამი ავტომატიც, ვიღაცა სადღაც გადაიღებს მიუღებელ ლოზუნგსაც... და ვიღა დადის ქვეყნად ისეთი თვალახვეული და ჰკუაბნელი, ვერ მიხვდეს, რომ ყოველივე ეს დადგმული სპექტაკლია, გამორჩეული გულმოდგინებით ნაკეთები მას შემდეგ უფრო, რაც ჩვენმა ქვეყანამ, მრავალტანჯულმა საქართველომ, თავად მოინდომა თავისი საკუთარი საქმეების მართვა, თავად მოინდომა, ყოფილიყო ღარიბი, ოღონდ ჩაეცვა, რასაც სული სთხოვდა, და არა ის, რასაც უბრძანებდნენ...

ბევრი რამ ბრალდება ქვეყნის შეჭირვების საქმეში რესპუბლიკის წინა ხელმძღვანელობას. ეს უკვე ადვილია, გადაქცეული კედლის ქვეშ მოაქციო არსებული და არარსებულიც. მაგრამ მე მაინც მეჩვენება, რომ აქაც არ არის მტკიცედ დაკონკრეტებული ნეგატივები. მე მაინც მეჩვენება (და რა თქმა უნდა, არა მარტო მე), ქვეყნის ამგვარად შეჭირვების საქმეში ყველაზე დიდი დამნაშავე ისევ სტალინური ეპოქის მრისხანე ექოა. ამ ექომ შეიწირა ათასები და ათასები, კვლავაც შეიწირავს მომავალში მრავალს თუ ფხიზლად არ ვიქენით. ეს ექო უდევს მუსიკად სპექტაკლს, რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდი.

რა უნდა ვიღონოთ ვითარების ნორმალიზაციისათვის? ვიყენეთ თავისთავადნი, საქვეყნო იქნება თუ საკუთარი, მთელი სიცხადით ვაკეთოთ საქმე. საქმე, საქმე, საქმე, და არა სპექტაკლის მსახიობობა! ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ არ აღმოვჩნდეთ სპექტაკლი-ფარსის მსახიობები.

2. გარდაქმნას უამრავი მოწონება აქვს, უმთავრესად კარგი. მაგრამ ისინი ჰაერში მოფარფატე მტრედებს გვანან, მიწაზე რომ ვერ ბედავენ დასხდომას. ცხოვრება კვლავაც უძრაობის პერიოდის გარინდებით გვეგებება ყველგან. ჰო, არიან „მარიფათიანი" კოოპერატორები — მეპურეები, მეხაშეები, მეხინკლეები, მღვეზელეები და სხვა,— მაგრამ ეს ადამიანები ჯერჯერობით მაინც ნებადართული სპეკულაციის მსახურნი უფრო არიან, ვიდრე გარდაქმნისა.

რა ჩოჩქოლია ხოლმე ტელევიზორების ეკრანებთან, როგორ გადადის გაზეთები ხელიდან ხელში, როგორ ეფონებათ გულზე, როცა მხილებულნი არიან ბოროტნი, მძარცველნი, მპარავნი, ცრუნი; როგორ უჭერენ მხარს მათთვის დადებულ სასჯელს. მაგრამ გაბრძანდით გარეთ, ჩაუკვირდით, რა ხდება იმავე დღეს ჩვენს ყოფაში. მე დარწმუნებული ვარ, ვერ დაიტევენ სიები იმას, რაც არ უნდა ხდებოდეს წესიერ ქვეყანაში. ფულისმკეთებელი კი გულმშვიდად, აუღელვებლად, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს, არც უნდა მოხდესო მთელი საუკუნის განმავლობაში, ითვლის ფულს, დასტებად ალაგებს და მერე რაღაც ეშმაკობებში მალავს ამ დასტებს. ეს ფულისმკეთებელი აუღელვებლად ღრღნის სახელმწიფო დოვლათს, ფრჩხილის გამოდებით, მაგრამ გვღრღნის ყოველ ჩვენგანსაც. ამ სიმბოლოს ფონზე მე ვერსად ვხედავ შეჭირვებულ, დაფაციცებულ ადმინისტრაციულ ორგანოთა მუშაკებს.

ყველასათვის არის ცნობილი, რომ არსებობს რევიზორ-შემმოწმებელთათვის მისაცემის მტკიცე ნიხრები. გავიდეთ, გამოვიძიოთ, რა ცვლილება მოხდა ამ ნიხრებში უკანასკნელ, ე. წ. გარდაქმნის წლებში, და დავრწმუნდებით, რომ სახელმწიფოსთვის სასარგებლო არაფერი. ქრთამის ამღებნი ხომ არცა კადრულობენ ფულის დათვლას. ისინი სახელმწიფო კაცების მკაცრ პოზაში დგანან. სანამ ამგვარი სახელმწიფო კაცები ამგვარ პოზაში იდგებიან, სანამ ფულისმკეთებლები სადღაც ჯანდაბებში ტენიან ფულების დასტებს, სიტყვა „გარდაქმნა" სიტყვების თამაშს უფრო ემგვანება, ვიდრე საქმეს.

ძნელია ამგვარი ადამიანების ფონზე წარმოიდგინო პატარა ქვეყნის დამოუკიდებლობა, მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური მომავალი, მაგრამ სიძნელემ არ უნდა შეგვაკრთოს. ჩვენს ხალხს ასეთი თქმაც აქვს: ერთი ბავშვის გაზრდა უფრო ძნელია, ვიდრე ერთი კოდი ფეტვის დახვრეტაო. და მაინც ზრდიან ბავშვებს, კარგ ბავშვებსაც, მთავარია მონდომება, ასე იქნება ქვეყნის გარდაქმნის, განახლების საქმეშიც.

ძმამ ძმას ანგარიში უყო, ისევ ძმებად დარჩნენო. სხვა გამოსავალი არ გვაქვს, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, სიმშვიდე და ერთმანეთის ხელშეწყობა გვქონდეს ოჯახში. ოჯახია, ამ ვითარებაში, სახელმწიფო. და თუ მაინც შეეცდება ოჯახის რომელიმე წევრი, დაარღვიოს ეს სიმშვიდე, უნდა შევეძლოს ღონიერი წავლებაც კისერში. სხვანაირად ვისა აქვს წარმოდგენილი ოჯახი, სახელმწიფო?!.

3. ჩემი თაობის ადამიანებს, როგორც ყოველგვარი მნიშვნელოვანი სიახლე, საჯაროობაც (თანამედროვე დემოკრატია), პირველ ხანებში მხრებს კი არ გვაშლევინებდა, პირიქით, ისე ვდგებოდით, მეტი და მეტი ტვირთის მიღება შესძლებოდათ ამ მხრებს. მაგრამ დღეს უკვე სხვაა. დღეს ჩვენც მხრებგაშლილები ვართ. დღეს ჩვენც შევხარით გაბედულ მთქმელებს, ვცდილობთ, ამ საქმეში არ ჩამოვრჩეთ მათ.

გაფიცვებიც და დემონსტრაციებიც ჩვენი გამოგონილი არ არის. მთელმა კაცობრიობამ გამოსცადა მათი რაობა, ძალა, თანაც უკვე ასწლეულებში, და თუ ჩვენ დღეს ზოგი რამ ისე არ გამოგვდის, როგორც გვსურს, ეს ჩვენი ჯერაც გამოუცდელობის ბრალია და არა გაფიცვებისა და დემონსტრაციებისა. ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა უნდა ვერიდოთ ამ საქმეებში ჩვენებურ ნამეტან სილაღეს. გაფიცვები სიმკაცრეს და სიზუსტეს მოითხოვენ, დემონსტრაციებიც. არ უნდა ისარგებლონ ვიღაც-ვიღაცეებმა, რათა მკაცრი, სერიოზული საქმე საღლაბუცო თავშესაყრად აქციონ.

თავად მე ძალიან ცოტა რამ მეთქმის, თუ რა დამოკიდებულება მაქვს სხვადასხვა სოციალურ ფენებთან. ადრე ვიყავი სოფლის შვილი, გლეხი, მერე ვიყავი მუშაც, მოსამსახურეც, სტუდენტიც, ბოლოს — დიპლომიანი სპეციალისტიც. მაგრამ ბოლო თითქმის ორი წელიწადი, ავადმყოფობის გამო, ველარ ავყევი დიდ მოძრაობებს, დიდად ქმედით ჯგუფებს. წერით — სულ ვფიქრობ ხოლმე, რომ რაღაცას ვაკეთებ მეც ჩვენი ხალხის სულიერი ამაღლებისათვის. ჩემი ოცნებაც ესაა, რაიც თქვენ ასე გაქვთ ჩამოყალიბებული: მთელი ჩვენი ძალების კონსოლიდაცია! ჩემი სამუდაროც: საქართველო იყოს მხარი მხარსა და გული გულს მიცემულთა ქვეყანა.

4. ყველას აზრია ეს და მეც ვიმეორებ: ჩვენთვის ყველაზე სახიფათოა, ეროვნული შუღლების გაღვივება. ჩვენ თუ აქ რამე შეგვეშალა, მის გამოსწორებას ველარ შევძლებთ ათწლეულებში. წლები სჭირდება თავშეკავებით დგომის შეჩვევასაც.

მეორე დიდი საშიშროებაა ჩვენში ხელით საკეთებელი საქმისადმი, თვალების ჩამაწყალებელი და მკლავების დამქანცველი საქმისადმი ნაადრევი უპატივცემულო დამოკიდებულება. ეს გამორჩეულად შეიმჩნევა ახალგაზრდობაში. მე უკვე დავწერე ერთხელ, ერთი მთლად ახალგაზრდა ბიჭი ასეთ რამეს ამბობს: აქეთ თოხი რომ იდოს, იქით კუბო, არჩევანზე რომ მიდგეს საქმე, კუბოში ჩავწვები და თოხს არ მოვკიდებ ხელსაო. ეს მოგონილი არ არის, ზუსტად ასე მითხრა საბურთალოს ბაზარში საზამთროს გროვაზე წამოსკუპებულმა ერთმა ბიჭმა. ცას ასწვდა ჩემი აღშფოთება იმ წუთს, ბიჭმა კი ღიმილიც არ მოიცილა სახიდან.

ასეთი ღიმილები უნდა იყოს მიზეზი ფაქტებისა, რასაც გაზეთი „კომუნისტი" გვაცნობებდა ა. წ. 27 იანვარს. წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობას 20 ათასზე მეტი ცხვარი ჰყავს. უვლის ამ ცხვარს 112 კაცი, აქედან მხოლოდ თხუთმეტია მკვიდრი მოსახლე.

მეძროხეობის ფერმაში 94 მუშაკიდან მხოლოდ თექვსმეტია ქართველი.

სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის კოლმეურნეობის 3 ათას ცხვარს 22 კაცი უვლის, აქედან მხოლოდ ერთია ქართველი.

გრძელია ამგვარი ფაქტების სია.

შენ არ დაიჭერ შენს სოფელში თოხსა და მწყემსის ჯოხს — სხვა მოვა, სხვა რჯული და თესლი, და ის დადგება შენს ადგილას.

დადგნენ კიდეც, და მერე როგორ!

ხშირად არა, მაგრამ მაინც მიხდება მოსწავლე ახალგაზრდობასთან შეხვედრები, ბოლო ხანებში მაინც საოცრად ყურადღებიანები არიან თითქმის ყველანი, საოცრად ახლო მიაქვთ გულთან, რაიც კი მათ სამშობლოს ეხება. ახლა მთავარია წარმართვა, კონკრეტული საქმეების მიცემა. ამ კონკრეტული საქმეების აღმოჩენებისათვის, დაზუსტებებისათვის და მკეთებლებამდე მიტანისათვის უნდა ვიზრუნოთ ყველამ.

5. პარტიამ უკვე გადადგა გაბედული ნაბიჯები სიახლისაკენ, რაც მარტო ჩვენს რესპუბლიკაში კი არა, მთელს საბჭოთა კავშირში ხდება. მე მხედველობაში მაქვს სოლიდური დიალოგები, პარტიასა და ხალხს შორის, პარტიასა და სახალხო მოძრაობების ლიდერებს შორის. პარტია უნდა მივიდეს ხალხთან, როგორც მისი მსახური, ჰკვიანი, ყოველნაირი ტკივილების შემგრძნები. პარტიამ და ხალხმა ერთად უნდა აკეთოს ერის, სახელმწიფოს საქმე, და თუ ბრძოლა იქნება გადასატანი, თვით სისხლისმღვრელი ბრძოლა, ერთად უნდა გადავიტანოთ ყველამ. ეს იმედი, რაიც დღითიდღე მტკიცდება ჩვენში, ნუ მოგვიშალოს ღმერთმა.

კარლო გუჯაბიძე,

საქართველოს კომპარტიის თბილისის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი:

1. ვითარება მეტად რთულია. საზოგადოებრივი აზრიც ცვალებადი და არაერთგვაროვანია, რაც ხელს უწყობს ჭორების გავრცელებას, პროვოკაციულ მოქმედებას, დაძაბულობის გაძლიერებას.

გაზაფხულზე მოვლენები ისე სწრაფად განვითარდა, რომ ხელისუფლებამ და პარტიულმა აპარატმა ვერ შეძლეს მათი მართვა, რასაც მოჰყვა მიუტევებელი შეცდომები. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ არ გვქონდა ამგვარი სიტუაციების მართვის გამოცდილება, თანაც ჩამოყალიბებულ მექანიზმს ყოველთვის ახასიათებს გარკვეული ინერცია. ახლა უკვე ნათელია, რომ საჭირო იყო ხალხთან მისვლა, ახალგაზრდობასთან გულწრფელი დიალოგი, გარკვეული კომპრომისი, ერთი სიტყვით, არაორდინარული მოქმედება, რაც დამკვიდრებული სტერეოტიპის მსხვრევას გულისხმობს. გათიშულობას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ბოლო დროს მთელი სიღრმითა და სიგანით ვლინდება 70 წლის მანძილზე მმართველი აპარატის მიერ დაშვებული შეცდომები. მართალია, ამ პროცესს თვით პარტია წარმართავს და იგი დრომოჭმული აზროვნებისა და მოქმედების წინააღმდეგაა მიმართული, მაგრამ ყველაფრის ერთბაშად სწორი აღქმა არ მოხერხდა.

მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის საჭიროა მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შესახებ ითქვას სრული სიმართლე, დამნაშავენი საკადრისად დაისაჯონ. აუცილებელია დაჩქარდეს ეროვნულ საკითხებზე კონცეფციებისა და პროგრამების შემუშავება, დაიწყოს ამ საკითხების პრაქტიკული მოგვარება.

2. კონკრეტული ნაბიჯებიდან გამოვყოფდი დიალოგს სხვადასხვა სოციალურ ფენასთან, კერძოდ, არაფორმალებთან, ფართო მასშტაბის ღონისძიებებს საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეროვნული კონცეფციის პროექტის შემუშავებას.

რა ვითარებაა სახელდობრ ჩვენთან? საწარმოების და დაწესებულებების ძალებით გადავწყვიტეთ ავაღორძინოთ თეთრი წყაროს რაიონის ქართული სოფელი სამღერეთი და იქ ავაშენოთ 50 საცხოვრებელი სახლი, საშუალო სკოლა, ბიბლიოთეკა, საავადმყოფო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტები სტიქიით დაზარალებული აჭარლებისათვის. უკვე გავიყვანეთ გზები, მიმდინარეობს წყლის გაყვანის სამუშაოები, სექტემბერში მწყობრში ჩადგება 25 საცხოვრებელი სახლი და საშუალო სკოლა.

რაიონში წლეულს იმდენი სოციალური საკითხი გადაწყდა, რაც მთელ წინა ხუთ წელიწადში არ მოგვარებულა. საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელს" გამოეყო 11 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, სართავი ფაბრიკა სამცვლიანი სამუშაო გრაფიკიდან გადავიდა ორცვლიანზე. შენდება პიონერთა და მოსწავლეთა სახლი, სასტუმროები, სასწავლებლები, სპორტული მოედნები. ძირითადად დამთავრდა რაიონის წარმოება-დაწესებულებების გადასვლა ქართულ საქმისწარმოებაზე, დამატებით შეიქმნა ქართული ენის შემსწავლელი კურსები მიკრორაიონებსა და საწარმოებში.

საერთოდ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპები ჩამორჩება მოთხოვნებს და ამიტომაც საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებთან ერთად დიდი მუშაობა გვმართებს გარდატეხის დაჩქარებისათვის. სექტემბერში რაიკომის პლენუმზე განვიხილავთ რაიკომის ეროვნულ პლატფორმას და განვსაზღვრავთ სამოქმედო პროგრამას. ეს აუცილებელია, რადგანაც ამჟამად ერთაშორის ურთიერთობაში მხოლოდ კონფლიქტების განმუხტვით ვიფარგლებით, საჭირო კი არის, რომ გვქონდეს მიზანდასახული მუშაობის შესაძლებლობა. ამის გზა მოცემულია ეროვნულ საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტში და ყველა შესაძლებლობა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

3. ყოველგვარი გაფიცვა თუ დემონსტრაცია მისაღებია მაშინ, როდესაც იგი ჯგუფური კი არა, არამედ სახალხო ინტერესებიდან გამომდინარეობს. შორს რომ არ წავიდეთ, ასეთი იყო, მაგალითად, მეშახტეთა გაფიცვა და მას სასარგებლო შედეგებიც მოჰყვა. ჩვენს სინამდვილეში გაფიცულთა და დემონსტრანტთა ძირითადი მოთხოვნა ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილს გამოხატავს. მაგრამ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, მაგალითად, მეცნიერულ საფუძველზე წარმართული დაუღალავი შრომა სჭირდება. მოუფიქრებელი გაფიცვა ასუსტებს ისედაც ქანცგამოცლილ ეკონომიკას, გვიქმნის დამატებით სიძნელეებს. ამ ეტაპზე საჭიროდ ვთვლი მხარში ამოვუდგეთ რესპუბლიკის ახალ ხელმძღვანელობას, მივცეთ მას საშუალება თანამიმდევრულად აკეთოს ეროვნული საქმეები.

დღეს რაიონის საწარმოებსა და დაწესებულებებში იმართება შეხვედრები სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან, არაფორმალური გაერთიანების წარმომადგენლებთან. დიალოგი საშუალებას აძლევს მშრომელებს თვითონ განსაჯონ მტყუანი და მართალი, მიიღონ სწორი გადაწყვეტილება. ვაპირებთ რაიონის მასშტაბით შევქმნათ სადისკუსიო კლუბი.

4. უბედურებაა, როდესაც კორუფცია, მექრთამეობა და პროტექციონიზმი მმართველ წრეებში აღწევს. ამ დროს, რაღა თქმა უნდა, არავითარ პოლიტიკაზე აღარ შეგვიძლია ვილაპარაკოთ. ჩვენთან ამ სენს ვებრძვით იმით, რომ ვაახლებთ კადრების მთელ შემადგენლობას. საზოგადოებრივი კვების ტრესტში, მაგალითად, მარტო ხელმძღვანელთა შეცვლით არ შემოვიფარგლეთ, ყველა ეჭვმიტანილი მუშაკი გავანთავისუფლეთ სამუშაოდან. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მშრომელთა სამართლებრივ აღზრდას, თითოეულთან ინდივიდუალურ მუშაობას.

5. ჩატეხილი ხიდის გამთელების ერთადერთი გზაა ეროვნულ პოზიციებზე დგომა. ახლა აღარ არის საკმარისი ლოზუნგი პარტიისა და ხალხის ერთიანობის შესახებ. პარტია მხოლოდ ხალხისათვის უნდა არსებობდეს და პრაქტიკულად იღვწოდეს მისი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის.

შექმნილ ვითარებაში პარტიული ლიდერი მხოლოდ მაშინ დაიმსახურებს ხალხის მხარდაჭერას, როცა პირად მაგალითს უჩვენებს, თუ როგორ არის საჭირო შრომა და ცხოვრება ეროვნული ინტერესების დასაცავად.

ალექსანდრე ახვლედიანი,

საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი:

1. რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება (ისე როგორც მთლიანად კავშირში) უაღრესად დაძაბულია. მისი დაძლევის უმთავრეს საშუალებად დემოკრატიული პარლამენტური რესპუბლიკის შექმნა გვესახება, სადაც ყველა პოლიტიკური გაერთიანება თუ ჯგუფი იქნება წარმოდგენილი. ეს მომავლის ამოცანაა. დღეისათვის კი აუცილებელია, რაც შეიძლება ოპერატიულად გადაწყდეს აფხაზეთის პრობლემა. მხედველობაში მაქვს დამნაშავეთა პასუხისმგებლობა, გართულებათა მიზეზების ღრმად შესწავლა და პროფილაქტიკური ზომების მიღება.

საჭიროა არ დავუშვათ მესხეთში აქ ადრე მცხოვრები თურქების ჩასახლება, დავაჩქაროთ ჯავახეთში ჩასახლებული სტიქიით დაზარალებული აჭარლებისათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა.

უნდობლობის ატმოსფერო ძირითადად კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების საქმეში დაშვებულმა შეცდომებმა განაპირობა, როგორც საკავშირო, ასევე რესპუბლიკური მასშტაბით. შედეგი ისაა, რომ საზოგადოება ხედავს, თუ ვინ როგორ მოხერხებულად იყენებს თანამდებობას. ისმის კითხვა: ნუთუ ვერ ხედავს ამას ხელისუფლება? თუ ვერ ხედავს, „ბრმა" ხელმძღვანელებს არ ძალუძთ უნარიანად უხელმძღვანელონ ხალხს, ერს, საზოგადოებას. თუ ხედავენ, მაშინ რატომ არ რეაგირებენ?

ორივე შემთხვევაში ხელმძღვანელობა დისკრედიტირებულია და არ ძალუძს გაიყოლიოს მასა.

მოკლედ რომ ვთქვათ, სიტყვისა და საქმის შეუსაბამობამ განაპირობა ნდობის დაკარგვა, ხალხის რწმენის შერყევა.

2. ბოლო პერიოდის ღონისძიებებიდან გამოვყოფდი ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შემუშავებას, საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის პრინციპების პროექტის საჯარო განხილვისათვის გამოტანას, საქართველოს სსრ მოქალაქის სტატუსის შემუშავებისათვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ეროვნულ ნიადაგზე დადგომას და სხვა ღონისძიებებს, რომლებმაც გააძლიერა ეროვნული თვითგამორკვევისაკენ სწრაფვა.

რაც შეეხება ეკონომიკურ და სოციალისტურ სფეროში მომხდარ ძვრებს, აქ მდგომარეობა უფრო სერიოზულია. გარდაქმნა ამ დარგებში ძალზე ნელა მიმდინარეობს. არასაკმარისია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდის ტემპი. თითქმის არავითარი ძვრები არ არის მოსახლეობის სამრეწველო და სასურსათო საქონლით მომარაგების საქმეში, მძიმე მდგომარეობაშია სამკურნალო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არც განათლების სისტემაშია მდგომარეობა ნორმალური. განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა მოსახლეობის საბინაო პირობების გაუმჯობესების საქმეში.

ბათუმში მკვიდრი მოსახლეობის გარდა ცხოვრობს 80 ერის და ეროვნების წარმომადგენელი. პარტიის საქალაქო კომიტეტი აწყობს მასობრივ-პოლიტიკურ ღონისძიებას („მრგვალი მაგიდა", ლექტორის დღე, კონფერენციები, დისპუტები და ა. შ.).

წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შექმნილია და ფუნქციონირებს ქართული ენის შემსწავლელი წრეები. გათვალისწინებულია გაიზარდოს მათი რაოდენობა. მიმდინარე სასიკეთო ძვრებმა და ეროვნული თვითშეგნების მკვეთრმა ამაღლებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ინტერესი ქართული კულტურის, ენისა და ისტორიის შესწავლისადმი, რის გამოც შეიმჩნევა რუსული საშუალო სკოლებიდან ქართულ საშუალო სკოლებში ქართველ მოსწავლეთა გადაყვანის ტენდენცია. ამ პროცესმა შეიძლება გარკვეული უხერხულობაც შექმნას, რადგანაც რუსულ სკოლებში ქართული ენის სწავლებას ფაქტობრივად არავითარი ყურადღება არ ექცევა. ამიტომ წინადადება მივეცით განათლების განყოფილებას რუსული სკოლებიდან ქართულ სკოლებში გადმოსული ბავშვებისათვის გახსნას გახანგრძლივებული ჯგუფები და კლასები ქართული ენის გაძლიერებული შესწავლისათვის.

ჩვენ ვამაყობთ ინტერნაციონალურ ქალაქში სხვადასხვა ერის შვილებს შორის ძმობითა და მეგობრობით. და თუ გვინდა, რომ ეს ურთიერთობა მოჩვენებითი არ გამოდგეს, მეტი ტაქტი, გონიერება, სიდინჯე და წინდახედულება გვმართებს, რომ ემოციებს არ ავყვეთ და არ გადავდგათ ისეთი ნაბიჯი, რომელიც ქართველი კაცის ღირსებასა და ხასიათს არ ეკადრება.

3. ჩვენი დიდი სურვილია ახლო ურთიერთობა დავამყაროთ სხვადასხვა სოციალურ თუ პოლიტიკურ გაერთიანებებთან, მაგრამ ყოველთვის მიზანს ვერ ვაღწევთ, რადგან ამ გაერთიანებათა ლიდერები და აქტივისტები ხშირად გაურბიან დიალოგსა და თანამშრომლობას.

ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ ფაქტობრივად ჯერ კიდევ სახალხო ფრონტი ვერ გადაიქცა მაკოორდინირებელ ორგანიზაციად, რის გამოც ხშირია გათიშულობა.

პირადად მე დემონსტრაციებს და მიტინგებს საღად ვაფასებ, როცა იგი ზომიერების ჩარჩოებში, დემოკრატიულ პირობებში მიმდინარეობს. ამ აქციებზე წამოჭრილი წინადადებებიდან და ჯანსაღი მოსაზრებებიდან ბევრი გავითვალისწინეთ და გადავჭრით კიდეც. აქტიური მონაწილეობა მივიღეთ 9 აპრილის მემორიალის მოწყობაში, 26 მაისის აღნიშვნაში. სახალხო ფრონტის წარმომადგენლები დაესწრნენ პედაგოგიურ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებს, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო და საზოგადოებამაც სათანადოდ შეაფასა.

ამასთანავე, მიტინგებზე ზოგჯერ ისეთი მოწოდებები გაისმის, რომელთაც ხელისუფლება უკვე ახორციელებს. გამოდის, რომ ზოგს ლაპარაკი, საკითხთა წამოჭრა უფრო ეხერხება, ვიდრე მოქმედება და საქმის კეთება. განა სხვაზე ნაკლებად გვსურს ჩვენთან საქმის წარმოების ქართულად წარმართვა, მაგრამ ერთბაშად როდია შესაძლებელი ამის მიღწევა.

4. ყველაფერი უბედური მექრთამეობიდან, ნათლიმამობიდან და კორუფციიდან იწყება. ჩვენდა საუბედუროდ, ყოველივე ამან მტკიცედ მოიკიდა ფეხი საზოგადოებაში და გარკვეულად შეუვალიც გახდა.

საქალაქო კომიტეტმა მკაცრად იმსჯელა სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტების შესახებ რკინიგზის სადგურში, საქართველოს სსრ მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის გაერთიანება „საქმრეწვქალაქმშენის" № 5 ტრესტში. პრინციპული შეფასება მივეცით ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში შრომითი და ტექნოლოგიური დისციპლინის უხეში დარღვევის ფაქტს. ახლახან მსჯელობა გვქონდა წლეულს მომხდარი მკვლელობის გამოძიების მსვლელობის გამო, ამგვარ გაჭიანურებას მოსახლეობა უკმაყოფილოდ აღიქვამს. შეშფოთებას იწვევს ის, რომ ოთხიდან სამი მკვლელობა ხალხმრავალ ადგილებში მოხდა და სრულიად უდანაშაულო ადამიანები გახდნენ ბოროტმოქმედთა მსხვერპლნი. ეს მოსახლეობის პასიურობასა და უსულგულობაზე, საპატრულო სამსახურის უხერხემლობაზე მეტყველებს.

სახალხო რაზმელების მუშაობის გააქტიურებით, საზოგადოებრიობისა და სამართალდამცავი ორგანოების მჭიდრო ურთიერთკავშირით ვცდილობთ ავიცილოთ ის ვნებათაღელვა, რომელიც ეროვნებათაშორისი საკითხების გართულებას ახლავს.

5. ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა კონკრეტულმა პირებმა უნდა გარდაქმნან, მაგრამ არის კი მზად ჩვენი აპარატი ამისათვის? სამწუხაროდ, ყველა არა. კადრების შერჩევის მანკიერმა სტილმა ისეთი დაღი დაასვა ჩვენს საქმიანობას, რომ ძალიან ძნელია ამ სიტუაციიდან თავის დაღწევა. სანამ უარს არ ვიტყვით კადრებთან მუშაობის დღემდე არსებულ წესზე, სანამ არ გამოვაცხადებთ კადრების არჩევისა და დანიშვნის დარგში სრულ დემოკრატიას და საჯაროობას, ყოველი ცდა ფუჭი და ამაო იქნება.

ჩვენი მუშაობის დევიზი უნდა გახდეს: არცერთი ნომენკლატურული თანამდებობა ალტერნატიული კანდიდატურებისა და არჩევნების გარეშე, საჭიროა მოვაწყოთ ღია საჯარო განხილვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით.

სტანისლავ ბატიაშვილი,

ლაგოდეხის მანქანათსაშენებელი ქარხნის ზეინკალი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი:

1. საქართველოში ამჟამად შექმნილი ვითარება ღრმა განსჯასა და პრაქტიკულ მოქმედებას მოითხოვს. ბევრი რამ, რაღა თქმა უნდა, განაპირობა ყოფილი ხელმძღვანელობის დაშვებულმა შეცდომებმა, რომლებიც ახლა ყველასათვის ნათელია. მწარე გაკვეთილიდან უპირველესად ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ საჭიროა ხალხთან ახლოს დგომა, მათი საჭიროებებისათვის ზრუნვა. არც ის უნდა დავფაროთ, რომ დემოკრატიულობას შეუჩვეველ ქვეყანაში ნეგატიური მოვლენებიც საკმაოდ განვითარდა.

ფაქტების მოსაძებნად შორს წასვლა არ დაგვჭირდება. 9 აპრილის, ქვემო ქართლსა და აფხაზეთში მომხდარი ტრაგედია ნეგატიური მოვლენების პირდაპირი შედეგია. ისინი გუშინ და გუშინწინ არ წარმოშობილა, კარგა ხანია ვითარდებოდა და უმაღლეს წერტილს მიაღწია ვოლუნტარიზმისა და უძრაობის პერიოდში. სწორედ ამ პერიოდში გაღრმავდა მექრთამეობა, განუკითხაობა კორუფციაში გადაიზარდა, რამაც სავალალო შედეგი გამოიღო. სულიერი და ზნეობრივი განწმენდა არის ის ერთადერთი გზა, რომელიც ხალხს შეგვარიგებს.

2. რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და პოლიტიკური სუვერენიტეტის გაფართოებას, მე სრულიად ვეთანხმები იმ პროექტს, რომელიც გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე გამოქვეყნდა. ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის ზრუნვა და ოფლის ღვრა ყველა ქართველის ძალისხმევას მოითხოვს. ეს არის ის გზა, რომელიც პოლიტიკურ სუვერენიტეტს მოგვიტანს და გააღრმავებს. ამისათვის უწინარესად კონსოლიდაციაა საჭირო. ძალების დაქსაქსვით ჯერ არავის მიუღწევია აღთქმული ქვეყნისათვის. რაკი ასე ვმსჯელობთ, რაკი ეს გზა ავირჩიეთ, აუცილებელია საქართველოში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელმა, თუ კი მათ სურთ ჩვენთან ერთად შეხმატკბილებულად იცხოვრონ, ჩვენი ეროვნული და ეკონომიკური მიზნები უნდა გაითავისონ.

მე, როგორც სახალხო დეპუტატს, საჭიროდ მიმაჩნია მალე დამტკიცდეს დეპუტატის სტატუსი. უამისოდ გვიჭირს მუშაობა. ძველებურად ყოფნა რომ არ გამოდგება, ეს ცხადია, მაგრამ ახლებურად მუშაობის გზებიც არ ვიცით. როგორც ყრილობაზე, ისე სესიაზე პარლამენტური მუშაობის გამოცდილების უქონლობამ მკვეთრად იჩინა თავი. სიახლე ის არის, რომ ყოველი თვის პირველ ორ კვირაში სხვადასხვა დღეს ვხვდები იმ რაიონის ამომრჩევლებს, სადაც კენჭი ვიყარე: მათ კონკრეტულად ვეხმარები ამა თუ იმ საკითხის მოგვარებაში. იმ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა რესპუბლიკის ამა თუ იმ ინსტანციის ეხება, ვიწერ და მისი შესრულებისათვის ყოველ ღონეს ვხმარობ.

3. პირადად მე საჯაროობის გაღრმავების კვალობაზე სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან და ფენასთან, კერძოდ, არაფორმალებთან (ვფიქრობ, უპრიანია თუ მათ არაოფიციალურს ვუწოდებთ) საუბრის და დიალოგის, მთელი საზოგადოებრივი ძალების კონსოლიდაციის მომხრე ვარ. ხშირად გავიგონებთ ხოლმე მიტინგებსა და შეხვედრებზე, თუ ვინ ვისთან უნდა მივიდეს და საკითხები გაარკვიოს. არასწორად მიმაჩნია ზოგიერთების მოთხოვნა: მოვიდნენ ჩვენთან და გავარკვიოთო. ეს არ არის საღი კონცეფცია. ჩვენ ერთმანეთთან უნდა მივიდეთ, უმცროსუფროსობა აქ არ გამოდგება, მთავარია ჭეშმარიტების სამსახური. საჭიროა მთავრობისა და საზოგადოებრივი ჯგუფების სანუკვარი გზა სამშობლოსაკენ, მისი აყვავებისაკენ, ეროვნული ხსნისაკენ მიდიოდეს. საქართველოა ყველას სახატე.

ცოტა რამ ინტერნაციონალიზმზე. ყველა ქართველი ყოველთვის იმის ცდაშია, რომ სხვა ერის წარმომადგენელს არაფერი ეწყინოს. უფრო მეტიც, თუკი რაიმე გაუგებრობა მოხდებოდა ქართველსა და არაქართველს შორის, ხელმძღვანელები ყოველთვის ამ უკანასკნელს ამართლებდნენ, აქაოდა გულნატკენი არ დარჩესო. ამიტომ იყო, რომ სიტყვაში თუ მოხსენებაში, ტელევიზიით თუ პრესით ყველა გაუთავებელი ვტრაბახობდით, რომ საქართველო ინტერნაციონალური ქვეყანაა, რომ აქ 80-მდე ეროვნების წარმომადგენელი ძმურად ცხოვრობსო. მერედა, ქართველ ებრაელთა გარდა ვინ დაგვიფასა?

4. ნეგატიური მოვლენებიდან ყველაზე სახიფათოდ მიმაჩნია კორუფცია და მექრთამეობა, ყველაფერი უნდა ვიღონოთ მათი აღმოფხვრისათვის, ხსნის სხვა გზა უბრალოდ არ გაგვაჩნია.

5. რა უნდა ვიღონოთ ორგანიზატორული მუშაობის გარდაქმნისათვის, ჩატეხილი ხიდის აღდგენისათვის? მე მგონია, რომ ხიდი მთლიანად ჩატეხილი არ არის, ბევრ რამეს ეშველება, თუ კონკრეტულ ზომებს მივიღებთ. ხიდის შეკეთება შეიძლება ხალხთან ახლოს დგომით, სიკეთისა და გონიერების სამსახურით.

ხელმძღვანელ სამუშაოზე არ უნდა ხვდებოდეს შემთხვევითი ადამიანი, ამაზე პირდაპირ არის მითითებული პარტიულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნების ჩატარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში.

საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ის, რაც გარდაქმნა-განახლების ეპოქამ მოგვიტანა.

გაზეთ „კომუნისტის" პარტიულ-იდეოლოგიური მუშაობის განყოფილება.

ისტორიის ფურცლები

როგორც მკითხველს მოეხსენება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან შექმნილია საგანგებო კომისია, რომელიც სწავლობს საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკურ და იურიდიულ ასპექტებს. ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა არაერთი საგულისხმო დოკუმენტური მასალა ამ საკითხებზე. ვფიქრობთ, ისინი დაეხმარება კომისიას ისტორიული სიმართლის აღდგენაში. დღევანდელი პუბლიკაციაც ამ მიზანს ემსახურება.

ლუი ლე ფური

საქართველო და საერთაშორისო უფლება

გამძაფრებული საკითხი და იურიდიული უფლებამოსილება

მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში მარტო პოლიტიკური ბრძოლის ფორმა არ იყო საკმარისი რუსეთ-საქართველოს გამძაფრებული საკითხის მოსაგვარებლად. საჭირო იყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სამართლებრივი განხილვა, რუსეთ-საქართველოს 1783 და 1920 წლების ხელშეკრულებათა საერთაშორისო იურიდიული ნორმებით შესწავლა. ეს საქმე თავს იდვა

პარიზის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის პროფესორმა ლუი ლე ფურმა, რომელმაც 1932 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოსცა შრომა „საქართველო და საერთაშორისო უფლება", რომლის ქართული თარგმანი მომდევნო 1933 წელს გამოქვეყნდა პარიზშივე, გაგაცნობთ ამ შრომას.

ფურცელი მეექვსე

„ქართველი ერი დამოუკიდებელი იყო თავის ისტორიის უშორეს დროიდან. იგი წარმოსდგება რასისაგან, რომელიც ერთი უძველესთაგანია დედამიწაზე და თუმცა განიცადა ზოგი აუცილებელი შერევა, მაგრამ გასაოცრად დაიცვა თავისი სიწმინდე საუკუნეთა მანძილზე. ქართველი ერი მსოფლიო ისტორიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ევროპის უმაღლეს მთებში შეფარებული იძულებული იყო მრავალი წინააღმდეგობა გაეწია დიდი იმპერიებისთვის, სპარსეთისა და ოსმალეთისთვის სამხრეთით, რუსეთისთვის ჩრდილოეთით, რომლებიც ცთილობდენ მის დაპყრობას. მაგრამ ეს ხალხი ხანდახან ვერ აცდა უცხოთა უღელს.

საქართველოს ისტორია აღსავსეა ბრძოლებით თავდამსხმელების წინააღმდეგ, ბრძოლებით, რომლებიც თითქმის ყოველთვის თავდებოდა ამ მამაცი ხალხის განთავისუფლებით. საერთო გამარჯვებამ და დამარცხებამ, საერთო სიხარულმა და მწუხარებამ დიდად შეუწყო ხელი ქართველი ერის მთლიანობის გამოჭედის, რომელიც დარჩა შეურყეველი მიუხედავად მისი ისტორიის ცვალებადობისა (E. Kuhne. La Géorgie libre, son passé, son présent, son avenir. Genève, 1920. ეს შრომა შეიცავს საქართველოს მოკლე ისტორიას. უფრო სრული გაცნობისათვის საჭიროა სამ ტომიანი M. F. Brosset, Histoire moderne de la Géorgie (S. Peter. 1856-58)).

I.

მე-18 საუკ. ბოლოს საქართველოს მდგომარეობა განსაკუთრებულად კრიტიკული შეიქნა. სამხრეთის მეზობელთა შემოტევებმა ისე დაასუსტეს, რომ იძულებული გახდა დახმარება ეძებნა ძლიერ ჩრდილოელ მეზობელთან, რუსეთთან, რომელსაც მას უახლოვდებოდა სარწმუნოებრივი ერთობით. ამისათვის დაუკავშირდა რუსეთს ხელშეკრულობით, რომელიც დადებულ იქნა რუსეთის იმპერატრისა ეკატერინე მეორესა და ქართლისა და კახეთის (ქართლი და კახეთი, რომლებიც საქართველოს ნაწილს შეადგენენ, აქ ნახმარია როგორც საქართველოს სანონიმები. ხელშეკრულობის გერმანულ ტექსტს ასეთი სათაური აქვს: „Traktat zwischen dem Russichen Reiche und Georgien". O. Nipold, La Géorgie du point de vue du droit intern; Berne, 1920. გვ. 6.) მეფეს ერეკლეს შორის, 1783 წ. 24 ივლისის რიცხვით (ნ. ამ ხელშეკრულობის ტექსტი Martens-ის Recueil des traités, მეორე გამოცემა, ტ. 3, ან რუსეთის კანონების კრებულში, ტ. 21, № 15.835. ნამდვილი მოთავსებულია ს. პეტერ. Nouveau journal, 1783 წ. ნაწ. 3, გვ. 145. ხელშეკრულობა საგანგებოდ იყო გამოცემული ჟენევაში 1919 წ.).

ამ დრომდე საქართველოს იურიდიულ საერთაშორისო მდგომარეობას არავითარი სიძნელე არ ახლდა. ეს სახელმწიფო სარგებლობდა სრულს სუვერენობას როგორც შიგნით ისე გარეთ, არავითარი დამოკიდებულობის კავშირი არ აერთებდა მას მეორე ხელმწიფოსთან. სრულიად უდავოა, რომ საქართველოს ჰქონდა მაშინ სრული საერთაშორისო პიროვნება.

გართულება იწყება მხოლოდ 1783 წ. ხელშეკრულობის დადებიდან. ამიტომ საჭიროა ამ ხელშეკრულობის მოკლე გარჩევა, თუმცა ღა დღეს მას მარტოოდენ წმინდა ისტორიული მნიშვნელობა აქვს (O. Nipold-მა მოგვცა ხსენებულა ხელშეკრულობის ვრცელი განხილვა უკვე დასახელებულ შრომაში. გვ. 6 და შემდ.).

ყოვლის უწინარეს ფორმის მხრით, ამ ხელშეკრულობას, როგორც ყველა მსგავს ხელშეკრულობას, აქვს ორმხრივი შეთანხმების ხასიათი, რომელიც მოხდა ორს სუვერენულ სახელმწიფოს შორის. ეს ხასიათი უეჭველია, თუ მხედველობაში მივიღებთ ხელშეკრულობის შესავალს და მის აშკარად გამოთქმულ დებულებებს. შესავალში ორი სუვერენი, იმპერატრისა ეკატერინე მეორე და მეფე ერეკლე მეორე ასახელებენ სრულუფლებიან რწმუნებულებს, რომლებიც მათი სახელით სდებენ ხსენებულ ხელშეკრულობას; იგი ხდება სავალდებულო ორივე მხრისთვის მხოლოდ დღიდან რატიფიკაციისა ორივე ერის სუვერენების მიერ (რატიფიკაციათა გაცვლას ჰქონდა ადგილი 1783 წ. ნოემბერში).

1783 წ. ხელშეკრულობის ორმხრივ ხასიათს ხაზს უსვამს კიდევ ის დებულებანი, რომელთაც იგი შეიცავს. ორივე მხარე აღიარებს ურთიერთის განსაზღვრულ უფლებებს და ღებულობენ ვალდებულებებს ერთმანერთის მიმართ. ბოლოს მე-12 მუხლი გადაჭრით აცხადებს, რომ ხელშეკრულობის ყოველგვარი შეცვლა „შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთის თანხმობით". აქედან უდავოა, რომ ჩვენს წინაშეა საერთაშორისო ხელშეკრულება, დადებული ორ სწორ უფლებიან სახელმწიფოს შორის და საერთაშორისო უფლების ორს სუვერენულ პიროვნებას შორის.

1783 წ. ხელშეკრულობის მიზანია რუსეთისა და საქართველოს შორის პროტექტორატის რეჟიმის დაწესება. საქართველო სდგება რუსეთის მფარველობის ქვეშ. პირველი მუხლი განსაზღვრავს საქართველოს ახალს მდგომარეობას და ჩამოთვლის იმ ვალდებულებათ, რომელნიც ეკისრება მას, როგორც მფარველობის ქვეშ მყოფ სახელმწიფოს; მისთვის აკრძალულია რაიმე დამოკიდებულობის კავშირი უცხო სახელმწიფოსთან; იგი აღიარებს რუსეთის უზენაესობას და პროტექციას; ვალდებულია დაეხმაროს მას საჭირო შემთხვევაში.

ასეთი წყობილების დამყარებას აუცილებელ შედეგად ჰქონდა საქართველოს ზოგიერთი სუვერენული უფლების შეზღუდვა; მფარველობის ქვეშ მყოფი სახელმწიფო თითქმის ყოველთვის უარს ამბობს თავის საგარეო სუვერენობის უფლების სარგებლობაზე, რომელიც გადადის პროტექტორ სახელმწიფოს ხელში. 1783 წ. ხელშეკრულობის მეოთხე მუხ. ძალით საქართველოც უარს ამბობს საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებელ წარმოებაზე. ამ მუხლის თანახმად, იგი „ვალდებულია არავითარი ურთიერთობა არ იქონიოს მეზობელ სუვერენებთან, თუ წინასწარ არ შეუთანხმდა (რუსის) ჯარის უფროსს საზღვარზე ან მისი იმპერატორობითი დიდებულების მინისტრს, რომელიც წარმოგზავნილი იქნება მეფის კარზე".

ამიერიდან საქართველოს საგარეო ურთიერთობა უნდა დაემორჩილოს რუსეთის კონტროლს. ეს უარისთქმა საგარეო სუვერენობაზე იწვევს თუ არა საქართველოსთვის საერთაშორისო უფლების პიროვნების ღირსების დაკარგვას? აქვს თუ არა აქ ადგილი საერთაშორისო უფლებასთან უშუალო დამოკიდებულების — ავსტრიელთა სკოლის (Verdross, Kunz) Volkerrechtsunmitelbarkeit-ის — გაუქმებას, რაიც წარმოშობდა საქართველოსთვის სახელმწიფოებრივი ხასიათის დაკარგვას საერთაშორისო თვალსაზრისით? არა. საქართველო სრულად არ ამბობს უარს თავის საგარეო საქმეების წარმოებაზე; მის სუვერენს, ეს თვით მეოთხე მუხლიდანაც გამომდინარეობს, აქვს დამოკიდებულება უცხოელ სუვერენებთან. ხოლო მისი უფლებები ამიერიდან შეკვეცილია რუსეთის სასარგებლოთ; ყოველი გადაწყვეტილებისათვის, რომელიც ეხება საგარეო პოლიტიკას, საქართველოს სუვერენი მოვალეა შეეკითხოს რუსის ჯარის უფროსს საზღვარზე ან მასთან წარმოგზავნილ მინისტრს.

რომ 1783 წ. ხელშეკრულობამ სავსებით არ გააუქმა საქართველოს საერთაშორისო პიროვნება, მიუხედავად იმ დებულებაში მოთავსებულ შეზღუდვისა, რომელაც ზემოთ განვიხილეთ, — ამას ამტკიცებს ლეგაციის აქტივური და პასიური უფლება, რომელსაც აღიარებს საქართველოსთვის ხელშეკრულობის მეხუთე მუხლი. მართალია, ეს უფლება ფორმალურად მას რუსეთის მიმართ აქვს; მაგრამ რადგან საწინააღმდეგო მუხლი არ არსებობს, უნდა ვიხელმძღვანელოთ საზოგადო პრინციპით, რომ პროტექტორატის ხელშეკრულობათა დებულებანი შეზღუდვით უნდა იქნეს განმარტებული, და ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ ხსენებული უფლება საქართველოს რჩება სხვა სახელმწიფოების მიმართაც. მაშასადამე 1783 წ. ხელშეკრულობის შემდეგაც საქართველო განაგრძობს უშუალოდ საერთაშორისო უფლების სარგებლობას, მას შერჩა სახელმწიფოს ხასიათი საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით (მკვლევართა დიდი უმრავლესობა ემხრობა იმ აზრს, რომ პროტექტორატის ქვეშ მყოფი სახელმწიფო არ ჰკარგავს საერთაშორისო უფლების პიროვნების ღირსებას. Vattel, Droits des gens, გამოცემა 1830 წ., წიგნი I, თავი 16; P. Fauchille, Droit International public, ტ. I, ნაწილი 1, გვ. 259 და 260; Oppenheim, International law, 2 გამოც. 1921 წ., ტ. I, პარაგ. 92.; Lawrence, Principes de droit international, trad. Dumas et de Lapradelle. Paris 1920 წ., პარ. 39 და 80; von Liszt, Das Volkerrecht, 6 გამ, გვ. 58; von Ullmann, Volkerrecht, 2 გამ., 1908, გვ. 106: Rivier, Principes du Droit del Gens, 1896, ტ. I, გვ. 91; Despagnet, Essais sur les protectorats, Paris 1896, გვ. 369 და 370; Jellinek, Die Lehre non den S'aatenverbindungen, Wien, 1882, გვ. 133; J Kunz, Die Staatenverbindungen, Stuttgart, 1929, გვ. 335; P. Heilborn, Das volkerrechtliche Protektorat, Berlin, 1891, გვ. 46 sq.; A. Verdrosa, Die Verfassung der Volkerrechtsgemeinschaft, Wien, 1926, გვ. 100, 120—122). თვით იმ შემთხვევაშიაც, საქართველოს რომ მთლად ეთქვა უარი თავის საგარეო დამოუკიდებლობაზე და ამგვარად აღარ დარჩენილიყო საერთაშორისო უფლებას სუვერენული პიროვნება, აქედან ვერ დავასკვნიდით, რომ მან დაჰკარგა სახელმწიფოებრივობა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ უარის თქმას საფუძვლად აქვს საერთაშორისო ხელშეკრულობა, რომლის დაცვას თვით მოითხოვს. გაუქმდება თუ არა ხელშეკრულობა, საქართველო ასევე იბრუნებს სავსებით თავის სუვერენულს უფლებებს.

(საერთაშორისო სამართალმა სუვერენობის შესახებ იცის განსხვავება, მსგავსი იმისა, როგორიც არსებობს კერძო სამართალში საკუთრების უფლებასა და ამ უფლების სარგებლობას შორის. საკუთრების უფლების სარგებლობა შეიძლება ხელშეკრულობით გადაეცეს სხვას ისე, რომ ამ გადაცემამ არ გააუქმოს თვით საკუთრების უფლება; როგორც კი ხელშეკრულობა დასრულდება, მესაკუთრეობის სრული უფლება უბრუნდება პატრონს. ამ გვარადვე საერთაშორისო სამართალში, სახელმწიფოს ხელშეკრულობით შეუძლია დათანხმდეს თავის სუვერენულ უფლებათა ზოგიერთ შეზღუდვაზე. ხოლო დასრულდება ხელშეკრულობა თუ არა, მასთან ერთად ისპობა მისი დადებული შეზღუდვანი და სახელმწიფო იბრუნებს სრულს თავის სუვერენობას. რასაკვირველია, შეზღუდვა ისე შორს არ უნდა მიდიოდეს, რომ დაუკარგოს სახელმწიფოს სრულიად საერთაშორისო ხასიათი და გადააქციოს იგი მხოლოდ შინაური უფლების უბრალო კოლექტივად. ამ საგნისთვის არ არსებობს საზოგადო წესები, ყოველი კერძო შემთხვევა ცალკე უნდა იქნეს განხილული, ხელშეკრულობის მუხლების მიხედვით).

რაც შეეხება შინაურ სუვერენობას, 1783 წ. ხელშეკრულობას სრულებით არ შეუკვეცავს საქართველოს უფლებანი. მეექვსე მუხლის ძალით, რუსეთი „ვალდებულია არ ჩაერიოს ქვეყნის შინაურ საქმეებში, არ მიიღოს არავითარი მონაწილეობა აღმასრულებელ ხელისუფლებაში, არც შინაურ მართველობაში, არც სასამართლოში, არც გადასახადების აკრეფაში". შინაური თვალსაზრისით საქართველო რჩება აბსოლუტურად დამოუკიდებელი.

ეხლა თუ მივუბრუნდებით რუსეთს, დავინახავთ, რომ ხელშეკრულობა მას აკისრებს განსაზღვრულ ვალდებულებათ, პირისპირ იმ უფლებათა, რომელსაც ის სცნობს მის მხარეზე. ეს უფლებანი ჩვენ უკვე გავიცანით — ისინი შეადგენენ საქართველოს ვალდებულებათ. რაც შეეხება რუსეთის ვალდებულებებს, ისინი ბევრია და ყველაზე უმნიშვნელოვანესი ისაა, რომ რუსეთი ვალდებულია დაიცვას საქართველოს ტერიტორია ყოველი თავდასხმისაგან (მუხ. 2 და 6). იგი მოვალეა არა თუ უზრუნველჰყოს საქართველოს აწინდელი ტერიტორიის მთლიანობა, არამედ იმ ადგილებისაც, რომელთაც საქართველო მოიპოვებს მომავალში (მუხ. 2). ხელშეკრულობის დამატებით შეთანხმებაში რუსეთი იმის პირობასაც კი სდებს, რომ შეუერთებს საქართველოს იმ ტერიტორიებს, რომლებიც მას წინათ ეკუთვნოდა.

მეორე მნიშვნელოვანი მოვალეობა გამომდინარეობს მეექვსე მუხლიდან: რუსეთი პირობას სდებს, „მისთვის სამეფოს მკვიდრნი იქნებიან ვითარცა მისი დიდებულების იმპერიასთან მჭიდრო კავშირსა და სრულ თანხმობაში მყოფნი და მაშასადამე მათ მტრებს მიიჩნევს საკუთარ თავის მტრებად". ამ ორი მუხლის ძალით, რუსეთი ვალდებული იყო მიშველებოდა საქართველოს ომის დროს; ცალკე შეთანხმების მესამე მუხლი განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოეწყოს ეს დახმარება.

ასეთია მთავარი დებულებანი 1783 წ. ხელშეკრულობისა. ამ დებულებათაგან ის გამომდინარეობს, რომ ჩვენს წინაშეა საერთაშორისო შეთანხმება ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის დადებული. იგა აწესებს მათ შორის პროტექტორატის წყობილებას, რომელიც განსაზღვრულ უპირატესობას ანიჭებს რუსეთს, სახელმწიფოს — პროტექტორს. ხოლო ეს უპირატესობა სრულებით არ შელახავს საქართველოს სახელმწიფოებრივ ხასიათს; იგი სტოვებს, თუმცა შესუსტებულად, ამ სახელმწიფოს საერთაშორისო პიროვნებასაც, რომელიც სდგება მხოლოდ მფარველობის ქვეშ (Nipold. გვ. 26).

მაგრამ 1783 წ. ხელშეკრულობა მეტია ვიდრე პროტექტორატის ხელშეკრულობა, ის ამავე დროს კავშირის და მეგობრობის ხელშეკრულობაა (იხილე შესავალი), რომელიც აწესებს არბიტრაჟს იმ შემთხვევისთვის, თუ მხარეთა შორის რამ უთანხმოება ჩამოვარდა. ასეთი დებულებანი საზოგადოთ შესაძლებელია მარტო იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან და სარგებლობენ თავის სუვერენობას.

II.

ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მოკლედ აღვნიშნოთ 1783 წლის ხელშეკრულობის დადების შემდეგ მომხდარი ამბები. პირველი იყო სპარსეთის თავდასხმა საქართველოზე. წინააღმდეგ ხელშეკრულობაში აშკარად გამოთქმულ პირობებისა რუსეთი არ მიეშველა საქართველოს. უკანასკნელი მარტოდ დარჩა და ვერ გაუწია წინააღმდეგობა მტრის ჯარს, რომელიც შეესია ქვეყანას, გაანადგურა და სატახტო ქალაქი ცეცხლით გადაწვა (1795 წ.).

ეს იყო პირველი მძიმე დარღვევა რუსეთის მიერ 1783 წლის ხელშეკრულობისა, რომელიც ავალებდა მას საქართველოს დაცვას. ხოლო ერთხმად არის მიღებული საერთაშორისო უფლებაში, ისე როგორც საშინაოშიც, რომ ვალდებულობის შეუსრულებლობა ერთის მხრის მიერ ათავისუფლებს მეორეს საკუთარ ვალდებულებათაგან. ერთი წინამორბედთაგანი საერთაშორისო უფლებისა Vattel, რომელიც თითქმის ამ ამბების თანამედროვე იყო და რომელმაც განსაკუთრებული სიღრმით შეისწავლა პროტექტორატის ხელშეკრულობის გაუქმების საკითხი, ასე ამბობს ამ საგანზე (Vattel, დასახ. თხზულება, პარაგ. 196. Rivier, 108 გვ. Despagnet, გვ. 400, Nipold, 41-42, Hielborn, 175-183, Kunz, 336 და 337). „როდესაც რომელიმე ერი სდგება მეორე, უფრო ძლიერის, ერის პროტექტორატის ქვეშ, ან კიდეც დაექვემდებარება მას მფარველობის მისაღებად, და ეს უკანასკნელი არ გაუწევს ნამდვილ მფარველობას შემთხვევის დროს, — აშკარა ხდება, რომ ის უყურადღებოთ სტოვებს ნაკისრ ვალდებულებას, და ამიტომ ჰკარგავს ყველა უფლებას, რომელიც ხელშეკრულობამ მიანიჭა, ხოლო მეორე მხარეც თავისუფლდება ყოველი მოვალეობისაგან, რომელიც თავის თავზე მიიღო, იბრუნებს ყველა თავის უფლებებს და აღიდგენს თავის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას". 1783 წ. ხელშეკრულობა მომხდარ ამბის გამო შეიძლებოდა გაუქმებულიყო და საქართველოს, რომელიც განთავისუფლდა ყოველი ვალდებულობისაგან, შეეძლო აღედგინა ყველა თავისი სუვერენული უფლებანი.

პუბლიკაცია მოამზადა
გურამ შარაძემ.

(გაგრძელება იქნება).

უცხოეთში

საქდესი [illegible]
1 სექტემბერი

● თურქეთი-ბულგარეთი

აბრალებენ დევნას

ანკარა. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბულგარელ ხელისუფლებს დააბრალა ბულგარელი მაჰმადიანების და საერთოდ მაჰმადიანური რწმენის დევნა. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, რომელიც ანატოლიის სააგენტომ გაავრცელა, ნათქვამია, რომ თურქეთი მზად არის მიიღოს მილიონზე მეტი იმიგრანტი ბულგარეთიდან.

თურქეთის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ბოლო ორთვენახევარში ბულგარეთიდან თურქეთში ჩავიდა 310 ათასი, როგორც აქ უწოდებენ, ბულგარელი თურქი. ამასთან დაკავშირებით თურქეთის მხარე ბულგარეთს სთავაზობს დაიდოს შეთანხმება იმიგრაციის თაობაზე და ბულგარეთის მხარეს აბრალებს თვითნებობას ბულგარელი თურქებისათვის პასპორტების გაცემის საქმეში. თურქეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება შეწყვიტოს ბულგარეთიდან თურქი-იმიგრანტების მიღება მანამ, სანამ არ დაიდება შეთანხმება იმიგრაციის თაობაზე.

● პანამა

გამოცხადდა საბრძოლო მზადყოფნა

პარიზი. ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სამხრეთმა სარდლობამ გამოაცხადა პანამის არხის ზონაში განლაგებული 12 ათასი ამერიკელი ჯარისკაცის საბრძოლო მზადყოფნა. ამერიკის არმიის წარმომადგენლის ვილიამ ომსნბის დამოწმებით, ამას იუწყება პანამიდან ფრანს პრესის სააგენტო.

ბრძანების თანახმად, ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებს განსაკუთრებულ განკარგულებამდე არა აქვთ უფლება დასტოვონ თავიანთი ნაწილის განლაგების ადგილი. განმარტა რა პენტაგონის ეს გადაწყვეტილება, ვ. ომსნბიმ განაცხადა, „პანამაში არანორმალური ვითარება შეიქმნაო".

● აშშ-იაპონია

პირადი კონტაქტების დასამყარებლად

ვაშინგტონი. ვაშინგტონში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა იაპონიის პრემიერ-მინისტრი ტოსიკი კაიფუ. წინადღით სან-ფრანცისკოში გამოსვლისას, საიდანაც დაიწყო მისი 12-დღიანი მოგზაურობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და მექსიკაში, კაიფუმ აღიარა ვაშინგტონისა და ტოკიოს ურთიერთობაში უთანხმოების არსებობა, რაც გამოწვეულია სავაჭრო-ეკონომიკური პრობლემებით, მაგრამ ამავე დროს განაცხადა, რომ ამან არ უნდა შეასუსტოს ამერიკა-იაპონიის ურთიერთობა.

ხუთშაბათს პრემიერ-მინისტრი შეხვდა სახელმწიფო მდივანს ჯ. ბეიკერს. გუშინ იგი მიიღო პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა, რომელმაც ერთი დღით შეწყვიტა თავისი დასვენება კენებანკპორტში (მენის შტატი). პრემიერ-მინისტრი ვაშინგტონში შეხვდება აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ლიდერებს.

ბუშის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საკითხებში ბ. სკოუკროფტმა განაცხადა, რომ ვიზიტის მთავარი მიზანია პირადი კონტაქტების დამყარება ამერიკის პრეზიდენტსა და იაპონიის პრემიერ-მინისტრს შორის. მათი ახლანდელი შეხვედრა გაიმართა ორ მხარეს შორის სავაჭრო და ეკონომიკური უთანხმოების საკითხებზე ამერიკა-იაპონიის მოლაპარაკების მორიგი რაუნდის წინ. ახლა, — თქვა სკოუკროფტმა, — გარკვეულ წილად წინასწარ განიხილება ზოგადი ეკონომიკური დღის წესრიგი, აგრეთვე ფართო წრის საერთაშორისო საკითხები, მათ შორის ვითარება შორეულ აღმოსავლეთში, ჩინეთში, კამბოჯაში, მესამე სამყაროს დავალიანება.

კონქურსი

● იაპონია. ორმოცდათორმეტი წლის სასტუმროს მოხელემ ტაკეში საიტომ გაიმარჯვა კონკურსში საუკეთესო წვერ-ულვაშზე, რომელიც ყოველწლიურად იმართება იაპონიაში.

ესოდენ „საუცხოო" წვერ-ულვაშის მფლობელმა კონკურსში გამარჯვებისათვის პრიზის სახით მიიღო 2160 დოლარი.

სურათზე: კონკურსის გამარჯვებული ტაკეში საიტო.
აპ-საქდესის ფოტო.

ცნობა

1989 წლის 27 აგვისტოს გამართული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად ახალ დეპუტატთა არჩევნების შედეგების შესახებ

ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონის № 24 ვახუშტი ბაგრატიონის საარჩევნო ოლქი

ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იყო 4.828 კაცი, მათგან ხმის მიცემაში მონაწილეობდა 2.766, ანუ ოლქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 57,29 პროცენტი.

დეპუტატობის კანდიდატს ნინო ალექსანდრეს ასულ ჯავახიშვილს ხმა მისცა 57 ამომრჩეველმა, ანუ 1,18 პროცენტმა, წინააღმდეგ — 2.560 ამომრჩეველმა, ანუ 53,02 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატს რომან რაჟდენის ძე გოცირიძეს ხმა მისცა 2.064 ამომრჩეველმა, ანუ 42,75 პროცენტმა, წინააღმდეგ— 553 ამომრჩეველმა, ანუ 11,48 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატს გიორგი ივანეს ძე ყორღანაშვილს ხმა მისცა 56 ამომრჩეველმა, ანუ 1,16 პროცენტმა, წინააღმდეგ — 2,561 ამომრჩეველმა, ანუ 53,04 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატს მინდია გურამის ძე უგრეხელიძეს ხმა მისცა 29 ამომრჩეველმა, ანუ 0.60 პროცენტმა, წინააღმდეგ — 2,588 ამომრჩეველმა, ანუ 53,60 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატს ნიკოლოზ შიოს ძე ცხაკაიას ხმა მისცა 405 ამომრჩეველმა, ანუ 8,39 პროცენტმა, წინააღმდეგ — 2.212 ამომრჩეველმა. ანუ 45,82 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატს ვაჟა მიხეილის ძე დესპოტაშვილს ხმა მისცა 6 ამომრჩეველმა. ანუ 0,12 პროცენტმა, წინააღმდეგ — 2.611 ამომრჩეველმა, ანუ 54,08 პროცენტმა.

ამრიგად, ამ ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი არ იქნა არჩეული.

მცხეთის რაიონის № 89 დიღმის საარჩევნო ოლქში

ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იყო 8.282 კაცი, მათგან ხმის მიცემაში მონაწილეობდა 6.199, ანუ ოლქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 74,85 პროცენტი.

დეპუტატობის კანდიდატს ნოდარ რევაზის ძე ნათაძეს ხმა მისცა 4.977 ამომრჩეველმა, ანუ 60,09 პროცენტმა, წინააღმდეგ— 1.058 ამომრჩეველმა, ანუ 12,77 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატს გურამ ივანეს ძე ფანჯიკიძეს ხმა მისცა 1.012 ამომრჩეველმა, ანუ 12,22 პროცენტმა, წინააღმდეგ — 5.023 ამომრჩეველმა, ანუ 60,65 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატებმა ზურაბ ვასილის ძე ქაფიანიძემ და ოთარ კალენიკეს ძე გამყრელიძემ რეგისტრაციის შემდეგ მოხსნეს თავიანთი კანდიდატურები.

ამრიგად, ამ ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულია **ნოდარ რევაზის ძე ნათაძე.**

ახალქალაქის რაიონის № 142 არაგვის საარჩევნო ოლქი

ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იყო 5.603 კაცი, მათგან ხმის მიცემაში მონაწილეობდა 5.125, ანუ ოლქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 91,47 პროცენტი.

დეპუტატობის კანდიდატს მამიკონ გევორქის ძე ფიდანიანს ხმა მისცა 4.077 ამომრჩეველმა, ანუ 72,76 პროცენტმა, წინააღმდეგ — 975 ამომრჩეველმა, ანუ 17,40 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატს სამველ გიორგის ძე პეტროსიანს ხმა მისცა 917 ამომრჩეველმა, ანუ 16,37 პროცენტმა, წინააღმდეგ— 4.135 ამომრჩეველმა, ანუ 73,80 პროცენტმა.

ამრიგად, ამ ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულია **მამიკონ გევორქის ძე ფიდანიანი.**

თეთრი წყაროს რაიონის № 160 მანგლისის საარჩევნო ოლქი

ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იყო 7.315 კაცი, მათგან ხმის მიცემაში მონაწილეობდა 6.439, ანუ ოლქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 88,02 პროცენტი.

დეპუტატობის კანდიდატს არჩილ გრიგოლის ძე გოგელიას ხმა მისცა 4.510 ამომრჩეველმა, ანუ 61,65 პროცენტმა, წინააღმდეგ— 1.761 ამომრჩეველმა, ანუ 24,07 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატს ქართლოს დავითის ძე ღარიბაშვილს ხმა მისცა 1.736 ამომრჩეველმა, ანუ 23,73 პროცენტმა, წინააღმდეგ — 4.535 ამომრჩეველმა, ანუ 62,00 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატმა ნოდარ ვახტანგის ძე ალთუნაშვილმა რეგისტრაციის შემდეგ მოხსნა თავისი კანდიდატურა.

ამრიგად, ამ ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულია **არჩილ გრიგოლის ძე გოგელია.**

ბოლნისის რაიონის № 164 ქვემო ბოლნისის საარჩევნო ოლქი

ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იყო 11.039 კაცი, მათგან ხმის მიცემაში მონაწილეობდა 10.479, ანუ ოლქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 94,93 პროცენტი.

დეპუტატობის კანდიდატს ზაქარია შოთას ძე დევნოზაშვილს ხმა მისცა 3.287 ამომრჩეველმა, ანუ 29,78 პროცენტმა, წინააღმდეგ — 7.188 ამომრჩეველმა, ანუ 65,11 პროცენტმა.

ამრიგად, ამ ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი არ იქნა არჩეული.

ყვარლის რაიონის № 219 ყვარლის საარჩევნო ოლქი

ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იყო 7.426 კაცი, მათგან ხმის მიცემაში მონაწილეობდა 4.813, ანუ ოლქის ამომრჩეველთა 64,81 პროცენტი.

დეპუტატობის კანდიდატს თეიმურაზ ზაალის ძე შაოშვილს ხმა მისცა 1.742 ამომრჩეველმა, ანუ 23,46 პროცენტმა, წინააღმდეგ— 2.972 ამომრჩეველმა, ანუ 40,02 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატს ნიკოლოზ ზურაბის ძე ქვავაძეს ხმა მისცა 2.662 ამომრჩეველმა, ანუ 35,85 პროცენტმა, წინააღმდეგ — 2.052 ამომრჩეველმა, ანუ 27,63 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატს ზაურ რომანის ძე სეფაშვილს ხმა მისცა 297 ამომრჩეველმა, ანუ 4.00 პროცენტმა, წინააღმდეგ — 4.417 ამომრჩეველმა, ანუ 59,48 პროცენტმა.

ამრიგად ამ ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი არ იქნა არჩეული.

ქალაქ წყალტუბოს № 278 მაღლაკის საარჩევნო ოლქი

ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იყო 6.111 კაცი, მათგან ხმის მიცემაში მონაწილეობდა 6.108, ანუ ოლქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,95 პროცენტი.

დეპუტატობის კანდიდატს მირზა მიხეილის ძე ქორქაშვილს ხმა მისცა 6.089 ამომრჩეველმა, ანუ 99,64 პროცენტმა, წინააღმდეგ — 18 ამომრჩეველმა, ანუ 0,29 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატს ირაკლი ოთარის ძე ენუქიძეს ხმა მისცა 18 ამომრჩეველმა, ანუ 0,29 პროცენტმა, წინააღმდეგ — 6.089 ამომრჩეველმა, ანუ 99,64 პროცენტმა.

ამრიგად, ამ ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულია **მირზა მიხეილის ძე ქორქაშვილი.**

ქალაქ სოხუმის № 359 კალინინის საარჩევნო ოლქი

ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იყო 5.914 კაცი, მათგან ხმის მიცემაში მონაწილეობდა 4.194, ანუ ოლქის ამომრჩეველთა 70,92 პროცენტი.

დეპუტატობის კანდიდატს გრიგოლ დავითის ძე ჭკადუას ხმა მისცა 339 ამომრჩეველმა, ანუ 5,73 პროცენტმა, წინააღმდეგ — 3.765 ამომრჩეველმა, ანუ 63,66 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატს ნუგზარ პეტრეს ძეს მგალობლიშვილს ხმა მისცა 3.237 ამომრჩეველმა, ანუ 54,73 პროცენტმა, წინააღმდეგ — 867 ამომრჩეველმა, ანუ 14,66 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატს ზურაბ გრიგოლის ძე ლაკერბაიას ხმა მისცა 437 ამომრჩეველმა, ანუ 7,39 პროცენტმა, წინააღმდეგ — 3.667 ამომრჩეველმა, ანუ 62,01 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატმა მიმოზა აკაკის ასულმა შელიამ რეგისტრაციის შემდეგ მოხსნა თავისი კანდიდატურა.

ამრიგად, ამ ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულია **ნუგზარ პეტრეს ძე მგალობლიშვილი.**

ქობულეთის რაიონის № 411 ქობულეთის საარჩევნო ოლქი

ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იყო 9.582 კაცი, მათგან ხმის მიცემაში მონაწილეობდა 8.825, ანუ ოლქის ამომრჩეველთა 92,10 პროცენტი.

დეპუტატობის კანდიდატს დავით ამედის ძე ხახუტაიშვილს ხმა მისცა 8.364 ამომრჩეველმა, ანუ 87,29 პროცენტმა, წინააღმდეგ — 461 ამომრჩეველმა, ანუ 4,81 პროცენტმა.

ამრიგად, ამ ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულია **დავით ამედის ძე ხახუტაიშვილი.**

ცხინვალის რაიონის № 433 ცხინვალის სასოფლო საარჩევნო ოლქი

ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იყო 9.047 კაცი, მათგან ხმის მიცემაში მონაწილეობდა 8.771, ანუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 96,95 პროცენტი.

დეპუტატობის კანდიდატს მერაბ ალექსის ძე გოხელაშვილს ხმა მისცა 8.699 ამომრჩეველმა, ანუ 96,15 პროცენტმა, წინააღმდეგ 72 ამომრჩეველმა, ანუ 0,80 პროცენტმა.

ამრიგად, ამ ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულია **მერაბ ალექსის ძე გოხელაშვილი.**

ხელვაჩაურის რაიონის № 419 ახალშენის საარჩევნო ოლქი

აღნიშნული ოლქის № 1 ახალშენის საარჩევნო უბანში მოხდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის — ხმის მიცემის პროცედურის — გაყალბება.

ხელვაჩაურის რაიონის № 419 ახალშენის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ ბათილად ცნო № 1 ახალშენის საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგები და დანიშნა ხელახალი კენჭისყრა ამ უბანში.

(საქინფორმი).

1 სექტემბერს აღინიშნა მასწავლებლის დღე

ხელისგულზე დატეული ზღვა

ამ რამდენიმე წლის წინათ, მახსოვს, ცნობილ ფოთელ პედაგოგს თ. ჭოჭუას სკოლაში ვეწვიეთ, მან თავი ნიკო ჯაფარიძის მოწაფედ გაგვაცნო.

— დიდი ნიკოს, — როგორც მას ვეძახდით, — გაცნობამ, დახმარებამ და ყურადღებამ, აგრეთვე მის სკოლაში ქიმიის კაბინეტის დათვალიერება გახდა ჩემი მუშაობის წარმმართველი, — გვითხრა მან, და წინ დაგვიდო სოციალისტური შრომის გმირის, გამოჩენილი მასწავლებლის ნიკო ჯაფარიძის წიგნი „საშუალო სკოლის ქიმიის ლაბორატორია". თინა ჭოჭუამაც ამ ნაშრომში მოთავსებული სქემების მიხედვით დაამზადა სადემონსტრაციო მაგიდა. ლაბორატორიული მაგიდა. საპრეპარატო ოთახისათვის, ასაწევი დაფა, ამწოვი და რეაქტივების მაგიდა.

— ახლა წარმოიდგინეთ, — განაგრძო ფოთელმა პედაგოგმა —ის სკოლა, სადაც დიდი ნიკო მუშაობდა...

ეს არის თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლა.

მასწავლებლისათვის, რომელიც სახელოვანი პედაგოგის მდიდარ ტრადიციას გააგრძელებდა, თავდაპირველად იოლი როდი იყო თავისი, საკუთარი გზის გაკვალვა, ჯაფარიძის მაგიერ მასწავლებლის კათედრაზე დადგომა... ეს შეძლო თინათინ კაჭარავამ, რომელიც ასევე ნ. ჯაფარიძის მოწაფედ თვლის თავს.

...გაბმულად ქოთქოთებს, ყაყანებს ბაზარზე მოსული ხალხი. ვაშლით, კომბოსტოთი და თივით დატვირთულ ურმებს შორის მკვირცხლად დაძვრება ერთი კაცი. მას ხელში უჭირავს [illegible] ბოთლები და ოთხკუთხა ქაღალდებით სავსე რამდენიმე პაკეტი. იგი გამყინავი ხმით გაჰყვირის.

— მარტინ ზადეკა ჩაიშვა ზღვის ფსკერზე და იქიდან ამოგიტანთ პასუხებს კითხვაზე, რომლებიც თქვენ გაღელვებთ და გაინტერესებთ. სულ ერთი უზალთუნის ფასად შეიტყობთ ყველაფერს თქვენი მომავლის შესახებ.

ჯადოქართან მივიდა ერთი სოფლელი ბიჭი. წინასწარმეტყველი პაკეტიდან იღებს ოთხკუთხა ქაღალდს, დაახვევს, ბოთლში ჩაუშვებს და თავს უცობს, შემდეგ ბოთლს თავდაყირა დააყენებს, ქაღალდს ამოიღებს და სოფლელ ბიჭს აწვდის. ის კი ხმამაღლა კითხულობს ყავისფერი ასოებით ნაწერ ტექსტს.

— რა იყო ბოთლში და ქაღალდზე? რა რეაქცია მოხდა ბოთლში ჩაგდებული ქაღალდის ზედაპირზე?

კაბინეტის სიღრმეში აკაშკაშდება „მანგანუმის ლენტები", მანგანუმის თვალისმომჭრელ სინათლეზე მოჩანს მასწავლებლისა და მოსწავლეების ჩაფიქრებული სახეები. კაშკაშებს ქიმიური სიმბოლოებითა და ქიმიკოსების სურათებით მორთული ოთახი.

ცოტა „ვიწროდაა", მაგრამ ჩვეულებრივ გაკვეთილს, ლაბორატორიულ თუ პრაქტიკულ სამუშაოებს მდიდარ კაბინეტში ატარებს. რას არ ნახავთ აქ! ამ ოთახებში თავმოყრილია ყველა საჭირო იარაღი, წლების მანძილზე დამზადებული თვითნაკეთი ხელსაწყოები.

თინათინის გაკვეთილზე უნდა ნახო! ვერავითარ ჩარჩოში ვერ მოათავსებ მის გაკვეთილს. იგი უფრო სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს სხდომას ჰგავს. აქ მომავალი ქიმიკოსები მარტო საპროგრამო მასალას კი არ ეუფლებიან, არამედ ღრმად წვდებიან ქიმიის საიდუმლოებას.

მოზარდები რომ უფრო დააინტერესოს, იგი ყოველ ლაბორატორიულ ცდას მიმზიდველი „ექსკურსით" იწყებს.

სკოლის დირექტორი მადონა მგელაძე:

— თ. კაჭარავა ღრმად არის დაუფლებული საგანს და მისი სწავლების მეთოდებს, ჩინებული პედაგოგი და აღმზრდელია. მისი მოსწავლეები შეგნებული მტკიცე ცოდნით გამოირჩევიან, რომელთა დიდი ნაწილი სწავლას განაგრძობს უმაღლეს სასწავლებლებში ქიმიის ფაკულტეტზე. ბევრი მათგანი მეცნიერი მუშაკია.

თინათინ კაჭარავას, მეთოდური დახელოვნების მიზნით, ხშირად ესწრებიან რესპუბლიკის სკოლების ქიმიის მასწავლებლები. იგი ეხმარება აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის სასწავლო პრაქტიკაზე მყოფ სტუდენტებს, ასპირანტებს.

რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, მეთოდისტი-მასწავლებელი, კომუნისტი, შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი და ალალმართალი ადამიანი დღესაც ჯაფარიძის მოწაფედ თვლის თავს, იგი მასწავლებელთა დახელოვნების საქალაქო ინსტიტუტშიც კითხულობს შინაარსიან ლექციებს, ხელმძღვანელობს ქიმიის წრის მუშაობას, რომლის წევრები ყოველწლიურად მონაწილეობენ და იმარჯვებენ ნორჩ ქიმიკოსთა რესპუბლიკურ ოლიმპიადებში, სასწავლო-შემოქმედებითს კონფერენციებში.

უხარია თინათინს, რომ მის გვერდით ახალგაზრდა და ნიჭიერი ქიმიკოსი მერი ცაკაშვილი [illegible] — დიდებული ცვლაა, — ამბობს თინათინი, — ტრადიცია გრძელდება.

— არც ერთი წუთი უქმად! ასეთია თინის დევიზი და მოსწავლეებიც ვერცხლისწყალივით მოუსვენარ მასწავლებელს ყველაფერში ბაძავენ.

აკაკი ჯიქია.

პარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

საკუთარი განცხადების საფუძველზე წინათ განთავისუფლებული ვ. ა. კოჩოიანის ნაცვლად პლენუმმა პარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ი. ი. ბალიაშვილი, რომელიც აქამდე რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ.ა. ჭითანავამ.

(საქინფორმი).

დღევანდელი ნომრის სტუმარი

კაცი სამრეკლოზე

ჩემი დაკვირვებით საქართველოში არც ერთ გვარს ისე არ გაჭირვებია დიქტატორულ რეჟიმთან და არტახებთან შეგუება, როგორც ბუაჩიძეებს. ურჩობისა და მეამბოხე სულისა გამო, ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში, ბევრი მათგანი დახვრიტეს, ზოგი გადარჩა, ზოგიც პოლიტპატიმრობიდან დაბრუნდა, ჯიში გააგრძელა და დღეს უმრავლესობა ბუაჩიძეებისა, ქართველი საზოგადოებრიობის საუკეთესო ნაწილია.

მათ შორისაა კიტა ბუაჩიძეც — ჩვენი ცნობილი დრამატურგი, კომედიოგრაფი, რომლის პიესები, განსაკუთრებით კი „ეზოში ავი ძაღლია", სხვადასხვა დროს დიდი წარმატებით იდგმებოდა საქართველოს თეატრებში.

— მამა — ჯერ მღვდელი, მერე ნამღვდელარი — სამჯერ დაიჭირეს, ძმა ოცდაჩვიდმეტში დამიხვრიტეს, დაც დამიტუსაღეს, ამისი ქმარიც გააქრეს, აგრეთვე კარგი სახელის მქონე ალალი ბიძაშვილები, და კიდევ რამდენი ნათესავი პირწმინდად მოხვეტეს ჩემს სანათესაოში, მერე შვიდი წლით მეც შემაგდეს „ნაოსახტში"...

მაინც წერდა, მალულად წერდა, რადგან იცოდა — ამ ნაფიქრალის ერთი სტრიქონიც რომ ეხილათ, მიახვრეტდნენ „უტროიკოდაც".

„ლიტერატურული საქართველოს" წლევანდელი 13 იანვრის ნომერში, ალბათ, წაიკითხავდით კიტა ბუაჩიძის „ხალხის მტრის ჩანაწერებს", რომელიც უმცირესი ნაწილია ზღვა მასალისა, დარწმუნებული ვართ, ეს კოშმარული მოგონებები მალე სრულად იხილავენ მზის სინათლეს... ერთი რამ ნათლად ჩანს „ლიტერატურული საქართველოს" პუბლიკაციიდანაც: კიტა ბუაჩიძე სტალინის სიცოცხლეშივე აკრიტიკებდა ირგვლივ გამეფებულ რეჟიმს, დიახ, სიცოცხლეშივე, და არა ახლა, როცა დიდი და პატარა, გონიერი და უგონო ერთმანეთს ეჯიბრება მიცვალებულის ლანძღვა-თათხვაში.

ხომ საკუთარ თავზე გამოსცადა იმ პერიოდის ყველა საშინელება, კიტა ბუაჩიძე მაინც ზედმიწევნით ობიექტურია სტალინის როლის შეფასებისას. და ამას ქვემოთ ვნახავთ.

როცა ქართული მწერლობის ერთ ნაწილს ყურზე ეძინა, მშვიდად გრძნობდა თავს, კიტა ბუაჩიძის სატირული კომედია „ეზოში ავი ძაღლია" დაუნდობლად ამათრახებდა ჩვენი ცხოვრების ჩრდილოვან მხარეებს, დრამატურგი საგანგაშო ზარებს არისხებდა: ასეთი ყოფა კარგს არაფერს მოგვიტანსო...

აკი ახდა კიდეც...

ვინ იცის, რა სასიკეთოდ წაადგებოდა ჩვენს ზნეობასა და ეროვნული სულის სიჯანსაღეს, ხელისუფლებას რომ „გაერისკა" და ამ ათი წლის წინათ, კიტა ბუაჩიძის ნაღველითა და რისხვით აღვსილი, ქართველი კაცის მანკიერებათა სააშკარაოზე გამომტანი „შავი წიგნი" გამოეცა?!. წიგნი — რამდენიმე ათეული ცალი, როგორც თვითონ მწარე ირონიით ამბობს, „სამიზდატით" „გამოსცა" ავტორმა და მრავალშვილიან ოჯახებს დაუგზავნა საჩუქრად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

და კიდევ იცით წიგნთან ერთად რა გაუგზავნა ზოგ მრავალშვილიან ხელმოკლე ოჯახს მწერალმა? კაპიკ-კაპიკ ნაგროვები ჰონორარი, სპექტაკლების შემოსავლის დანაზოგი (ამას, შეძლებისდაგვარად, იგი ახლაც აგრძელებს)... დემოგრაფიული პრობლემა, ამჟამად რომ ასე მწვავედ „დადგა დღის წესრიგში", ერთ-ერთმა სწორედ კიტა ბუაჩიძემ იგრძნო და უმძაფრესი ფერებით დახატა „შავ წიგნში".

როგორც შევიტყვეთ, „შავი წიგნის" გამოცემის ჯერიც დამდგარა, ამას ჰქვია — „სჯობს გვიანო"...

მანამდე კი კიტა ბუაჩიძის ფხიანი სიტყვის, მახვილი პუბლიცისტური შემართებისა და ღრმა განსწავლულობის თაყვანისმცემლებს ელოდებათ მწერლის მიერ ჯერ კიდევ 1986 წელს შექმნილი და სულ ახლახან გამომცემლობა „განათლების" მიერ რუსულ ენაზე 100 000-იანი ტირაჟით გამოცემული „ტაკოე დლინნოე, დლინნოე პისმო ვიკტორუ ასტაფიევუ ი დრუგიე პოსლანია ს კარტინკამი ჩორნო-ბელომ ცვეტე". („ასეთი გრძელზე გრძელი უსტარი ვიქტორ ასტაფიევს, და სხვა ბარათებიც, შავ-თეთრი სურათებითურთ"). აბა, მადლობის მეტი რა გვეთქმის გამომცემლობა „განათლების" მიმართ. რომელმაც სხვებზე მეტად შეიგნო ფართო საზოგადოებისათვის ამ წიგნის მნიშვნელობა და, იმ სულისკვეთების წყალობით, რესპუბლიკაში ახლა რომ მკვიდრდება, კიტა ბუაჩიძის კიდევ ერთ „სამიზდატს" ანახა მზის სინათლე.

ეპისტოლარული ლიტერატურის ამ შესანიშნავი ნიმუშის გამოცემის საკითხი (და სხვებისაც, რომლებიც კიტა ბუაჩიძეს მოჭირნახულე კაცის პოზიციამ დააწერინა) პრესაში თუ ტელევიზიით გამოსვლისას, რამდენჯერმე აღძრა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა თამაზ კვაჭანტირაძემ. და აი, ახლა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორთან ნოდარ ტაბიძესთან და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატ ჯუმბერ კოპალიანთან ერთად, სწორედ იგია აღნიშნული წიგნის რეცენზენტი.

კიტა ბუაჩიძის ახალი წიგნის მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება დღეს უკვე საქვეყნოდ გახმაურებულ „ასტაფიევის საქმეს". თქვენ იცით ეს „საქმე" როგორც დაიწყო: ცნობილმა რუსმა მწერალმა, დღეს უკვე სოციალისტური შრომის გმირმა ვიქტორ ასტაფიევმა 1986 წელს ჟურნალ „ნაშ სოვრემენიკში" დაბეჭდა მოთხრობა „ციმორებზე თევზაობა საქართველოში", რომლითაც არა მარტო ქართული სტუმარ-მასპინძლობა შეურაცხყო, არამედ, საერთოდ მთელი საქართველო, მისი საუკეთესო ტრადიციები დაინახა უკუღმართად...

მე ვეთანხმები იმათ, ვინც ამბობს, რომ 9 აპრილის, ქვემო ქართლის, აფხაზეთის ტრაგიკული ამბების თავწყარო სწორედ ის პასკვილებია, ასე რომ მომრავლდა ბოლო წლებში ჩვენი მისამართით ცენტრალური ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე...

დიახ, ასე დაიწყო... რომ დაინახეს, სიყვარულშიც „ფანტიაშვილები აღმოვჩნდით, ყველა ჩავიხუტეთ, ვილამ აღარ შემოგვბედა, რაღა აღარ გვაკადრა, ქართველებო ბაზარში წადითო — საკავშირო მწერალთა ყრილობაზე ასეც კი გვიკიჟინეს, ხოლო ჩვენდამი სიძულვილის გაღვივებაში ერთიანად გაიწაფა ასტაფიევ-რასპუტინის ტანდემი.

ქართული ლიტერატურის, კულტურის, მეცნიერების წარმომადგენლები, რა თქმა უნდა „იგერიებენ" ამ შემოტევებს, საკადრის პასუხს სცემენ, მაგრამ ზოგჯერ ეს პასუხები მხოლოდ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება და, ამდენად, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა რჩება მკითხველს. ვიქტორ ასტაფიევს იქვე, „ნაშ სოვრემენიკში" უპასუხეს ქართველმა მწერლებმა, სხვა ბეჭდვითი ორგანოების საშუალებითაც უთხრეს, რაც სათქმელი იყო, და თუ კიტა ბუაჩიძის „გრძელი უსტარი" დღემდე დაუბეჭდავი დარჩა, მხოლოდ იმიტომ, რომ კოლეგებისაგან განსხვავებით, მწერალი ჩვენი სახელმწიფოს გუშინდელ თუ დღევანდელ პრობლემებსაც ეხება, ასტაფიევთან კამათით ოსტატურად ახერხებს დაუფარავად ილაპარაკოს ნაკლოვანებებზე. რომლებმაც ეს უზარმაზარი ქვეყანა ლამის დაღუპვის პირას მიიყვანა. ამაზე წერა კი ჯერ კიდევ გუშინ არ შეიძლებოდა, დღეს მეტიც შეიძბა, ოღონდ საქმეს ეშველოს...

კითხულობთ „გრძელ უსტარს" და გხიბლავთ წერის ლაპიდარული სტილი, გრძნობთ ზომიერ ირონიასა და სარკაზმს, მწერლის ღრმა განათლებას, გიკვირთ, სად „იშოვა" ამდენი საბუთი, ციფრი და ფაქტი იმისათვის, რომ ყოველი სტრიქონი სიმართლით გაჯერებული ყოფილიყო, ობიექტურობისათვის არსად ელალატა, აი, ერთი ადგილი:

„დავუშვათ, სტალინი მართლაც ნერგავდა თავისივე პიროვნების კულტს, მაგრამ განა ხრუშჩოვი დიდხანს იყო ერთგული კოლექტიური ხელმძღვანელობისა, „ტრიუმვირატისა" (ხრუშჩოვი-ბულგანინი-ბრეჟნევი), და განა იგი არ მიილტვოდა, რომ ჯერ გამოეცალკევებინა, მერე კი თავბრუდამხვევი სისწრაფით განედიდებინა თავისი პიროვნება?! ბრეჟნევი კი როგორღა მოიქცა? ეცოტავა რა პარტიის გენერალური მდივნობა, სუსლოვის ხელშეწყობით გააგდო პოდგორნი, რათა თვითონ გამხდარიყო სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეც.

სტალინი რევოლუციურ ორომტრიალში სულაც არ გახლდათ შემთხვევითი ფიგურა, და ახლა ბევრიც რომ ილაპარაკონ, ოღონდ ილაპარაკონ არა თითოეულის სუბიექტური სიმართლის თვალსაზრისით, არამედ ობიექტური სიმართლიდან გამომდინარე, — სტალინი იყო მძლავრი პიროვნება, „რკინის ნებისყოფიანი კაცი" (მაქსიმ გორკი). ლენინი ჯერ კიდევ 1922 წელს გამოყოფდა მას ცენტრალური კომიტეტის წევრებს შორის, როცა იგი ჯერ კიდევ ფართო მასებისათვის ნაკლებად ცნობილი იყო ერთობ პოპულარულ, სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის ლევ ტროცკის გვერდი-გვერდ). იმხანად კი ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში იყვნენ პარტიის გამოჩენილი მოღვაწენი — ზინოვიევი, კამენევი, ბუხარინი, რიკოვი, პიატაკოვი და სხვები..."

ეგლა აკლდა, „გრძელი უსტარი" რომ ზოგმა „კეთილისმყოფელმა" წაიკითხა, (მწერალმა ხომ იგი — „სამიზდატით" „გამოცემული" — საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში თვალსაჩინო პიროვნებებს დაუგზავნა), კიტა ბუაჩიძეს „ანტირუსული" აზროვნება დასწამა. სამაგიეროდ, აღფრთოვანებული წერილებიც მიიღო აკადემიკოს დიმიტრი ლიხაჩოვისაგან, პოეტ სილვა კაპუტიკიანისა და სხვებისგან... იმათგან, ვისაც ღრმად აქვთ შეგნებული სიმართლის სამსახური, სიყალბის ქადაგებამ რა დღეშიც ჩაგვაგდო, ქვეყანა ხედავს...

სულიერი განწმენდა საზოგადოებისა, მისი მობრუნება ზნეობისაკენ ჭეშმარიტი მწერლობის ვალია, აქ კომპრომისი დაუშვებელია, და თუ ზოგჯერ კიტა ბუაჩიძე ზედმეტს „ბედავს", არა იმიტომ, თითქოს სამაგიეროს უხდის ვინმეს, უბრალოდ, გული შესტკივა საერთო საქმისათვის.

სწორედ ამ პოზიციიდან არის დაწერილი მწერლის სხვა რამდენიმე „ღია ბარათი", რომლებიც კრებულში შევიდა... ასე თუ მივყევით, ერთი ის ვნახოთ, რამდენი „ანტიქართული" რამ თქვა კიტა ბუაჩიძემ ჩემთან საუბარში:

— საქართველოში ერთშვილიანი ქართული ოჯახების რაოდენობა 30 პროცენტამდე აღწევს. ეს არამარტო დამაფიქრებელი პროცენტია, საბედისწერო ეროვნული ტრაგედიის პირდაპირი მაუწყებელია...

... რა თქმა უნდა, ძნელია ბავშვების გაზრდა, ძალზე ძნელია, მაგრამ... ეს სიძნელე ყველა საბჭოთა ქალისათვის ერთნაირად საძნელო ხომ უნდა იყოს? ჰოდა, თუ ასეა და ასეც არის, მაშინ რით აიხსნება, რომ მარნეულში, ახალქალაქში შობადობა ყოველ ათას კაცზე 33-ია, ოზურგეთისა და ჩოხატაურის რაიონებში კი... 16;

... მახსოვს, ჩემი ყმაწვილობის დროს, ქალაქის მილიციის უფროსი — სიმონ ხმალაძე, რუსთაველის პროსპექტის შუა გაყოლებაზე ფეხით რომ ჩაივლიდა, ყველა გამვლელი, მათ შორის, ცხადია, ალბათ ქურდებიც ერია, მოწიწებით და პატივისცემით თვალს აყოლებდნენ. ვის გაეგონა, თუნდაც, ამდენი მკვლელობა, და ისიც განზრახი? ახლა კი მკვლელობას, და, საერთოდ ყოველი სახის სიკვდილიანობას, განსაკუთრებით ავტოავარიებით გამოწვეულს, ისე შევეჩვიეთ, თუ შევეჩვიეთ, როგორც დილით პირის დაბანას...

... ბავშვები იყიდება, — არა, სამისოდ სპეციალური ბაზარი არ არსებობს, იყიდება ნამალევად, „დახლის ქვემოთ", ისევე როგორც იყიდება ყველაფერი...

ბევრი ჩვენი აბორტით საშვილოსნოგამოღადრული ქალი, რომლებმაც ახალგაზრდობა ჭრიჭინასავით სიცილ-კისკისსა და ცეკვა-ხტუნვაში გაატარეს და ახლა თვითონ ბიოლოგია ელობება დედობის მათს დაგვიანებულ სურვილს, მიეხეტებიან ბალტიისპირეთში და იქიდან ჩამოაქვთ ფინური შპალერი და მასთან ერთად მოაქვთ, დიახ, მოაქვთ ქერათმიანი ბავშვები.

• • •

დგას იგი ერის სამრეკლოზე და არისხებს საგანგაშო ზარებს, სიფხიზლის ზარებს, მთელი ცხოვრება დგას ასე — წმინდად, პირქუშად... ბევრი სიმწარე აგემა წუთისოფელმა, მაგრამ საკუთარი მრწამსი ჩინ-მედლებსა და ამქვეყნიურ სიტკბოებაზე არასდროს გაუცვლია...

ცივი უარი მომაგება, ინტერვიუსთვის რომ მივედი, თან ირონიული ღიმილით მითხრა: როგორ მოხდა, რომ მოგაგონდით ჩემი სიცოცხლის მიწურულს, ხალხი გამოგელიათო...

მაშინ მე თვითონ მოვახერხებ რაიმეს, ოღონდ სურათი მიბოძეთ-მეთქი. არც ამაზე დამთანხმდა... ჰოდა, გთავაზობთ „დღევანდელი ნომრის სტუმარს" ისე, რომ სტუმარი სათოფეზეც არ გაგვკარებია. ისიც, ზემოთ რომ ნაუბარი წაიკითხეთ, მხოლოდ და მხოლოდ ნაწყვეტებია „შავი წიგნიდან".

ასეა თუ ისე, კიტა ბუაჩიძის „გრძელი უსტარის" გამოცემას აუცილებლად უნდა გამოეხმაურებოდით, ამან კი, თანდათან, მისი ავტორის პორტრეტის ხატვაშიც შემიტყუა.

და თუ რიგიანი გამოვიდა, ალალ იყოს!

ვილენ მარდალეიშვილი.

კონტაქტები

კეთილი საქმის სამსახური

ახლახან „კომუნისტის" რედაქციას სასურველი სტუმარი ეწვია. ეს გახლდათ ბორის სეფიაშვილი — ისრაელში, ქალაქ აშდოდში მცხოვრები ქართველი ებრაელი, რომელიც ამ თხუთმეტი წლის წინათ მშობლიური ქუთაისიდან გაემგზავრა ისრაელს და იქ ყოველნაირად ცდილობს ორი ერისათვის სასარგებლო საქმეები აკეთოს.

ბორის სეფიაშვილი კომუნისტური პარტიის წევრია; საბჭოთა კავშირ-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების წევრი, იგი საბჭოთა კავშირ-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილებას ხელმძღვანელობს; იქაური მეგობრების — სოლომონ აჯიაშვილის, დავით ბოთერაშვილის, ნათელა სეფიაშვილისა და სხვათა უანგარო დახმარებით ბორის სეფიაშვილი ბევრს აკეთებს, რათა ქალაქ აშდოდში ილორძინოს ქართულმა სკოლა-სტუდიამ, რათა იქაურმა ახალგაზრდებმა, მომავალმა თაობამ შეინარჩუნოს ქართული ენა.

— ამ საქმეში საქართველოდანაც გვეხმარებიან, — თქვა რედაქციის კოლექტივთან შეხვედრისას ბ. სეფიაშვილმა, — კერძოდ, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება გვამარაგებს ქართული წიგნებით, სხვადასხვა ბუკლეტებით...

გავიგე, ქუთაისში ილია გაგულაშვილის ინიციატივით შექმნილა ბორის გაპონოვის საზოგადოება. წარმოიდგინეთ, რამდენ კარგ საქმეს გააკეთებს ეს საზოგადოება ორი ერის სიახლოვისათვის...

დასასრულ, სტუმარმა კეთილდღეობა და ბედნიერება უსურვა თავის ქართველ თანამემამულეთ, ხოლო გაზეთ „კომუნისტს" — ხალხის მსახურება.

შემოდგომა დადგა

როგორი იქნება სექტემბერი?

შემოდგომის დასაწყისად ასტრონომები 22 სექტემბერს თვლიან, რომლის შემდეგაც ჩრდილოეთ ნახევარსფეროში დღის ხანგრძლივობა ღამეზე ნაკლებია, კალენდრის მიხედვით კი შემოდგომა 1 სექტემბერს იწყება.

აგვისტოსთან შედარებით სექტემბერში ჰაერის საშუალო-თვიური ტემპერატურა 3-5 გრადუსით დაბალია, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ჯერ კიდევ ხშირია ხოლმე მშრალი და ცხელი ამინდი, ხოლო შავი ზღვის სანაპიროზე დგება წლის საუკეთესო დრო „ხავერდოვანი სეზონი".

კლიმატური მონაცემებით, სექტემბერში ჰაერის საშუალო ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს ბარში მერყეობს 16-დან 21 გრადუსამდე, მთაში — 13-18, ხოლო მაღალმთიან რაიონებში 9-13 გრადუსის ფარგლებში, სანაპირო ზოლში, კოლხეთის დაბლობზე, ქართლსა და კახეთში ჰაერის საშუალო სადღეღამისო ტემპერატურა პირველ დეკადაში 20 გრადუსზე მაღალია, თვის დამლევისთვის კი თანდათანობით კლებულობს 14-18 გრადუსამდე. ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი ამ რაიონებში 30-38, დასავლეთ საქართველოში ზოგან 40-41 გრადუსს აღწევს. აბსოლუტური მინიმუმი იკლებს დასავლეთ საქართველოში ზოგან პლუს 6-2, ხოლო ქართლსა და კახეთში 0-5 გრადუს ყინვამდე.

თვის განმავლობაში მოსული ნალექების რაოდენობრივი განაწილება ჭრელ სურათს იძლევა, რაც საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობების მრავალფეროვნებით არის გამოწვეული. ნალექების რაოდენობა მერყეობს 240-320, ქართლსა და კახეთში 30-70, ხოლო დანარჩენ რაიონებში 90-180 მმ შორის.

ცალკეულ წლებში როგორც ტემპერატურა, ასევე ნალექების რაოდენობა შეიძლება ნორმისაგან მკვეთრად განსხვავდებოდეს.

სექტემბერში ჩვენს რესპუბლიკაში გრძელდება საკურორტო სეზონი, გაჩაღებულია რთველი, მიმდინარეობს სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, ამიტომ ამინდს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით, მიმდინარე წლის სექტემბერში თვის საშუალო ტემპერატურა ბარში მოსალოდნელია 16-20 გრადუსი, მთაში 13-16, მაღალმთიან რაიონებში 9-12 გრადუსი, რაც დასავლეთ საქართველოში, სანაპირო რაიონებში, ქვემო ქართლსა და გარე კახეთში ახლოსაა საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობასთან. დანარჩენ რაიონებში მასზე 1 გრადუსით დაბალია.

შედარებით გრილი ამინდია მოსალოდნელი თვის მეორე დეკადის დამდეგს, ამ პერიოდში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით დასავლეთ საქართველოს ბარში 8-14, ქვემო ქართლსა და კახეთში 5-10, შიდა ქართლში 0-5, მთაში 3-8, ხოლო მაღალმთიან რაიონებში 0-5 გრადუს სითბომდე, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი ზონის ცალკეულ რაიონებში ჰაერის ტემპერატურა შეიძლება დაეშვას 2 გრადუს ყინვამდე.

ნალექების ჯამი დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობასთან ახლოს, აღმოსავლეთ საქართველოში — მასზე ნაკლები.

მოსავლის აღებისთვის პირობები ხელსაყრელია. მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ურწყავ რაიონებში შემორჩება ტენის ნაკლებობა, რაც გაართულებს ნიადაგის დამუშავებას საშემოდგომო თესვისათვის.

დასავლეთ საქართველოს მდინარეთა წყლიანობა მოსალოდნელია ნორმასთან ახლოს, აღმოსავლეთ საქართველოში კი ძირითად ნორმაზე ნაკლები.

ნიკოლოზ ბერაძე,
საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე, ჰიდროცენტრის უფროსი.

სპორტის ამბები

ქეთევან კახიანი მსოფლიო ჩემპიონია

სასიხარულო ცნობა მოვიდა კოლუმბიის ქალაქ ტუკადან. აქ დამთავრებულ 20 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატში უძლიერესის წოდებას დაეუფლა თბილისელი მოჭადრაკე ქეთევან კახიანი. ბოლო, მეცამეტე ტურში ქეთევანმა დაამარცხა საფრანგეთის წარმომადგენელი საბინ ფლიუტო.

ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ გულითადად მივულოცოთ ეს შთამბეჭდავი წარმატება ჩვენ თანამემამულეს.

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეცხრე ტურში ლანჩხუთის „გურია" მოსკოვში ეთამაშა ცსკას და დამარცხდა ანგარიშით 1:4. ქუთაისის „ტორპედოსა" და ბათუმის „დინამოს" შეხვედრაში აღინიშნა ფრე — 1:1. ლიდერთა სამეულში ცვლილება არ მომხდარა: ცსკას 28 მატჩიდან 45 ქულა აქვს, „კაირატს", ასევე 28-დან — 40, ხოლო „გურიას" 27 შეხვედრიდან 38 ქულა აქვს.

რაგბი. საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩები ჩვენი რესპუბლიკის გუნდებმა ასეთი შედეგებით დაასრულეს: თბილისის „ელმავალი"-კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროი" — 28:35, მოსკოვის „ფილი"-ქუთაისის „აია" — 0:9. ნახევარფინალურ ჯგუფებში გუნდების სატურნირო მდგომარეობა დღეისათვის ასეთია: „ა" ჯგუფი. სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი — 69 ქულა, მოსკოვის „ლოკომოტივი" — 54, მოსკოვის „სლავა" — 51, კიევის „ავიატორი" — 50; „ბ" ჯგუფი. „აია" — 62, „ექსკავატორტიაჟსტროი" — 47, „ელმავალი" — 46, „ფილი" — 44 ქულა.

თანამედროვე ხუთჭიდი. ბუდაპეშტში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის ორი სახეობის შემდეგ (ფარიკაობა და ცურვა) ერთპიროვნულად ლიდერობდა თბილისელი ვახტანგ იაგორაშვილი. მესამე სახეობის (სროლა) შემდეგ კი მან მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.

ძმობის ფესვები

ალალი გულით

რამდენიმე დღის წინათ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელობამ ქალაქის მე-2 სამშობიარო სახლს უსასყიდლოდ გადასცა 20 ათასი ერთჯერადი შპრიცი, რომელიც ასე აუცილებელია და ასე აკლიათ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს. იგი ისრაელიდან გამოგზავნა მურაზ ფიჩხაძემ.

ძმები ფიჩხაძეები 18 წლის წინათ სურამიდან წავიდნენ ისრაელში და თან გაიყოლეს ქართული მიწის მადლი და სიყვარული. მურაზი ისრაელის მშენებელთა პროფკავშირის მეთაურია. მისი ძმა — ისრაელის ერთ-ერთი დიდი საშენ მასალათა სამრეწველო კორპორაციის ხელმძღვანელი. წლეულს მათ საქართველო მოინახულეს. რესპუბლიკის პროფსაბჭოში სტუმრობისას შეხვდნენ დაინტერესებულ პირებს, საქმიანი საუბრისას გამოიკვეთა მომავალი თანამშრომლობის კონტურები ტურიზმის, საშენ მასალათა ერთობლივი საწარმოს შექმნის და სხვა სფეროებში.

წლეულს, როდესაც საქართველოს ჯერ სტიქიური უბედურება დაატყდა თავს, შემდეგ კი 9 აპრილის ტრაგედია, ბევრმა ჩვენმა საზღვარგარეთელმა მოკეთემ ალალად გვიჭირისუფლა და დახმარების ხელი გამოგვიწოდა. მათ შორის იყვნენ ძმები ფიჩხაძეებიც. სწორედ ამის დასტური იყო მაისში ტელეფონის ზარი თელავივიდან: ჩვენი გასაჭირით შეწუხებულმა მურაზმა თავის სამსახური შემოგვთავაზა. რამდენიმე დღეში კი დეპეშით გვაცნობა, რომ საქართველოს 20 ათასი ცალი ერთჯერადი შპრიცი გამოუგზავნა. ისიც აღგვითქვა, მალე დამატებით 30 ათასსაც გამოვგზავნიო.

მადლობა მურაზსა და მის ძმას, საერთოდ საქართველოდან ისრაელში წასულ ყველა ქართველ ებრაელს, ასე ერთგულად, ვაჟკაცურად რომ გვიდგანან მხარში.

საქართველოს პროფსაბჭოს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ერთჯერადი შპრიცები თბილისის მე-2 სამშობიარო სახლისათვის გადაეცა. დაე, ჭეშმარიტი მეგობრების ალალი გულით მოძღვნილი საჩუქარი ჩვენი მომავალი თაობისა და მათი დედების ჯანმრთელობას მოემსახუროს.

საქართველოს პროფსაბჭოს პრესცენტრი.

გ ა ს წ ო რ ე ბ ა

„**კომუნისტის**" 31 აგვისტოს ნომრის პირველ გვერდზე დაბეჭდილი ინფორმაციის „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში" ბოლო სვეტის მე-11-მე-12 სტრიქონები უნდა იკითხებოდეს „კანონპროექტებში გათვალისწინებული არ არის", შემდეგ როგორც ტექსტშია.

საქართველოს ტელევიზიის მომავალი კვირის პროგრამა

ორშაბათი

4 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „36 სიხარული". 17.00 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა". მხატვრული ფილმი „ლიდერი". 18.20 — მულტიპლიკაციური ფილმები. 18.45 — მოსწავლეთათვის. „ჯადოსნური საღებავი". 19.05 — განცხადებები. 19.10 — პარტიის ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე. 19.25 — საერთაშორისო დღიური. 20.00 — მოამბე. 20.35 — „ვულოცავთ". საქართველოს სახალხო არტისტი ეთერ ანჯაფარიძე. 22.00 — „ვრემია". 22.40 — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო გვატყობინებს. 22.50 — მესხეთის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „სოფლის აშიკი".

მეორე პროგრამა. 12.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გოროდეცკელი ოსტატები". 12.35 — მულტფილმების პროგრამა. 12.55 — კინოაფიშა. 13.55 — ფილმ-სპექტაკლი „სათნო მატყუარა". 16.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 17.00 — მხატვრული ფილმი „ჩიპოლინო". 18.20 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 19.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები. 20.00 — მოამბე. 20.35 — ფილმ-სპექტაკლი „დამცინავი ბედი ჩემი". 22.00 — „ვრემია".

სამშაბათი

5 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 12.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 14.20 — მხატვრული ფილმი „ლიდერი". 16.35 — მულტფილმი. 15.40 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — დოკუმენტური ფილმი „ნახნაგი". 17.15 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა". მხატვრული ფილმი „საოცარი აღმოჩენა ანუ სრულიად ჩვეულებრივი სასწაულები". 18.25 — მულტიპლიკაციური ფილმი. 18.35 — „საუნჯე". 19.00 — „აუქციონი" (ნაწილი პირველი). 20.00 — მოამბე. 20.35 — ძილისპირული. 20.50 — „აუქციონი" (ნაწილი მეორე). 21.35 — „ჩვენ ვეძებთ ფიროსმანს" (გადაცემა მეოთხე). 22.00 — „ვრემია". 22.40 — მხატვრული ფილმი.

მეორე პროგრამა. 12.05 — ქართული დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 14.10 — მხატვრული ფილმი „ხანდაზმულობის ვადის გარეშე". 15.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მთის მელოდია" (პირველი ჩვენება). 15.50 — ფილმ-სპექტაკლი „ჟამი ყვითელი ფოთლებისა". 18.00 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 18.45 — საბავშვო ფესტივალი ევპატორიაში. 19.45 — დოკუმენტური ფილმი. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „სოფელს ურჩხული სწვევია". 21.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბალხარული მოტივები". 22.00 — „ვრემია".

ოთხშაბათი

6 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 12.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 13.00— ნაშუადღევს. 13.50 — მხატვრული ფილმი „საოცარი აღმოჩენა ანუ სრულიად ჩვეულებრივი სასწაულები". 14.55 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები. 15.15 — საინფორმაციო გამოშვება. 15.25 — საერთაშორისო დღიური (განმეორებით). 16.00 — ქართული სატელევიზიო ფილმი „ინოლა გურგულიას საბავშვო სიმღერები". 16.25 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა". მხატვრული ფილმი „სამყაროს მოქალაქენი". 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.00 — მოსწავლეთათვის. მეგობრობის მერიდიანზე. 18.20 — განცხადებები. 18.25 — რედაქციაში წერილი მოვიდა. 19.00 — ხალხური შემოქმედება. „რაღაც უნდა გადარჩეს". 19.25 — „ღვთის შვილები". 20.00 — მოამბე. 20.35 — ქართული მხატვრული ფილმი „საბუდარელი ჭაბუკი". 22.00 — „ვრემია". 22.40 — პრემიერა დოკუმენტური ფილმისა „თუ არა მე" (მაფია საბჭოთა კავშირში). 22.50 — „ვერნისაჟი". დავით კაკაბაძე. 23.35 — მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში. ავსტრია — სსრ კავშირი (გადაცემა ავსტრიიდან).

მეორე პროგრამა. 12.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 14.10 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ჩემი ბედი". I სერია. 15.20 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნოქალაქევი". 15.50 — ფილმ-სპექტაკლი „ანათებს და არ ათბობს". 18.05 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 19.15 — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის ნანა იაშვილის კონცერტი. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „ძველი სხვენის საიდუმლოება". 22.00 — „ვრემია".

ხუთშაბათი

7 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 12.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 14.30 — მხატვრული ფილმი „სამყაროს მოქალაქენი". 15.25 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — დოკუმენტური ფილმი „ცეცხლოვანი სტიქიის წინააღმდეგ". 16.30 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა". მხატვრული ფილმი „გამაგრიდი, კარლ". 18.00 — მოსწავლეთათვის. „საუკუნეები და თაობები". 19.10 — განცხადებები. 19.15 — ქართული ლიტერატურის ისტორია (სტუდიაშია მწერალი ს. სერბერიაკოვი). 19.40 — ძილისპირული. 19.55 — მოამბე. 20.30 — სტუდია „დიალოგი". მშენებლობის პრობლემები. 21.30 — მოკლემეტრაჟიანი ქართული მხატვრული ფილმი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — მუსიკალური შეხვედრები.

მეორე პროგრამა. 12.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 14.10 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ჩემი ბედი". II სერია. 15.30 — ქართული მხატვრული ფილმი „განაჩენი". 16.55 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 18.15 — ქართული მხატვრული ფილმი „ნატვრის ხე". 19.55 — მოამბე. 20.30 — მხატვრული ფილმი „კარუსელი ბაზრის მოედანზე". 22.00 — „ვრემია".

პარასკევი

8 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 12.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — მხატვრული ფილმი „გამაგრდი, კარლ!". 15.20 — მულტიპლიკაციური ფილმები. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა". მხატვრული ფილმი „ბეჰემოთი ჰუგო". 17.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „დიდი მზის მხარეში". 17.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ავთო ვარაზი". 18.10 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.40 — მოსწავლეთათვის. ზუგდიდის ბავშვთა ფოლკლორული გუნდის „მახარიას" კონცერტი. 19.10 — განცხადებები. 19.15 — კონცერტი. 20.00 — მოამბე. 20.35 — ლიტერატურული გადაცემა „ვანიონ დარასელი". დაბადების 80 წლისთავის გამო. 21.15 — ქართული სპორტის სუვერენიტეტისათვის. 22.00 — „ვრემია". 22.40 — პრემიერა დოკუმენტური ფილმისა „თუ არა მე". კოოპერატორები, რეკეტი და ჩვენ თქვენთან ერთად! 23.10 — ქართული კინოს ისტორიიდან. მხატვრული ფილმი „ჩემი ბებია".

მეორე პროგრამა. 12.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 14.10 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ჩემი ბედი". III სერია. 15.30 — მხატვრული ფილმი „წინამასწარა ბარტყის ამბავი". 16.45— მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.25 — ფილმ-სპექტაკლი „მკვდარი სულები". 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „საუკეთესო ნომერი". 21.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ამინდის რომანტიკოსები". 21.55 — მუსიკალური შესვენება. 22.00 — „ვრემია".

შაბათი

9 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.40 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 10.10 — მოსწავლეთათვის. „აბა, დელია!". 11.00 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა". ქართული მხატვრული ფილმი „მანანა". 12.10 — ხალხური შემოქმედება. „რაღაც უნდა გადარჩეს". 12.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.50 — თეატრალური პანორამა (განმეორებით). 14.00 — ერთი სიმღერის ფესტივალი. 14.05 — საინფორმაციო გამოშვება. 14.15 — „სტუდენტთა თვითმოქმედება". 15.15 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები". 15.25 — ერთი სიმღერის ფესტივალი. 15.30 — რუსუდან აბაშიძის შემოქმედებითი საღამო. 16.30 — სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 17.15 — პოეზიის ხუთი წუთი. 17.25 — ლიტერატურული თეატრი „წამებაი დედოფლისა". 18.00 — „მღერის ედუარდ სეფაშვილი". 18.50 — ერთი სიმღერის ფესტივალი. 18.55 — სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში. მოსკოვის „სპარტაკი" — თბილისის „დინამო". შესვენების დროს (19.45) ძილისპირული. 20.55 — მოამბე. 21.30 — კონცერტი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „ილუზიონი".

კვირა

10 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 10.10 — საესტრადო კონცერტი. რაფაელა კარა მოგზაურობს. 11.00 — გარდაქმნის ნახნაგები. „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". 11.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 12.00 — სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა". მხატვრული ფილმი „იისფერი ბუშტი". 13.20 — საკვირაო გამოფენა. 13.25 — საესტრადო კონცერტი. „რეტროდან როკამდე". 14.15 — კინოაფიშა. 14.50 — „ახალგაზრდობა". სატელევიზიო პროგრამა. 15.30 — საკვირაო გამოფენა. 15.35 — „ვესტნიკი". 16.05 — საკვირაო გამოფენა. 16.10 — მოსწავლეთათვის. „ზაფხულის რიტმები". 16.40 — სპორტული გადაცემა „45 წუთი". 17.35 — კინონარკვევი. 17.50 — „სად წავიდა, რა იქნა ის ხალხი?". 18.45 — ჯადოსნური ეკრანი. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მოამბე. 20.15 — ხალხური შემოქმედება. იაპონური ანსამბლი „იამასიროგუმი" თბილისში. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „ეს სიმღერაა საქართველოსი". 22.55 — საფეხბურთო მიმოხილვა. 23.55 — ახალგაზრდობისათვის. „პუნქტუმ, კონტრა პუნქტუმ".

შაბათი, 2 სექტემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პოეზია უსიტყვოდ". 10.05 — ათლეტიზმი. 10.35 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ძია ერმილე". 10.45 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „მზიურის" ახალი სიმღერები. 11.05 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა". მხატვრული ფილმი „ძველი სხვენის საიდუმლოება". 12.25 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.30 — შ. ჯოჯუას საბავშვო ოპერა „გასროლა ტყეში". 13.20 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. 14.45 — მულტფილმი. 14.55 — ჩვენი სტუმრები. 15.10 — ხალხური შემოქმედება. „მაღლა მთას მოდგა...". 16.10 — საინფორმაციო გამოშვება. 16.20 — „ერთი სიმღერის ფესტივალი". 16.25 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.30 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ნინო ანანიაშვილი" (პირველი ჩვენება). 16.50 — „ერთი სიმღერის ფესტივალი". 16.55 — „სამხრეთი საზღვრების სადარაჯოზე". სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 17.40 — საქართველოს ზეიმი ბულონში. 18.15 — ლიტერატურული გადაცემა „ჭოლა ლომთათიძე". 18.55 — კონცერტი. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — დოკუმენტური ფილმი. 20.50 — „სტუდია დიალოგი" (ჯანმრთელობის დაცვის სისტემის პრობლემები). 22.00 — „ვრემია". 22.40 — „ილუზიონი". 0.55 — მოდების საერთაშორისო ზეიმი რომში.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.30 — საოჯახო აკადემია. 10.00 — „მიხაილო ლომონოსოვი". მესამე ფილმის მესამე სერია. 11.20 — მასწავლებელთა გუნდების პირველი სრულიად რუსეთის ფესტივალი. 12.00 — მშობლის დღე შაბათია. სასწავლო წლის დაწყების გამო. 13.15 — ხალხური მელოდიები. 13.30 — სოციალისტურ ქვეყნებში. 14.00 — „გამარჯვებულნი". 15.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 16.15 — ფილმი — ბავშვებს. როცა დედა შინ არ არის". 17.20—ვიეტნამის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი. 17.50 — განვიხილავთ სკკპ პლატფორმის პროექტს. „პარტიის ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე პირობებში". 18.25 — მუსიკალური ტელეფილმი „საყვარელი სიმღერები". 19.05 — ტელეფოტოკონკურსი „მიყვარხარ, სიცოცხლევ!". 19.10 — საერთაშორისო პროგრამა „პლანეტა". 20.10 — რეჟისორ ვ. ჟალაკიავიჩიუსის ფილმები „სიკვდილი არავის არ უნდოდა". 22.00. — „ვრემია". 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „ადამიანები და მანეკენები". მესამე ფილმი. 23.45 — „რა? სად? როდის?". კლუბების ასოციაციის I საერთაშორისო კონგრესი. 0.55 — მოდების დღესასწაული რომში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სოფლის საათი. 10.45 — ვებერი. „დივერსიმენტი" გიტარისა და ფორტეპიანოსათვის. 11.05 — რუსეთის სფსრ ქალაქების ტელესტუდიები. ხაბაროვსკის ტელესტუდიის პროგრამა. 12.15 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „სიყვარულის მონა". 13.45 — ოსტაპ სტახივას მომღერალი ფანდური. 14.00 — ახალი ამბები. 14.10 — მულტფილმი. 14.20 — რუსეთის ბოშური სიმღერები. 15.05 — საბჭოთა კულტურის ფონდის საქველმოქმედო საღამოები. გეპატიჟებათ ლიუდმილა სემენიაკა. 16.25 — ბომარშე. „გადარეული დღე, ანუ ფიგაროს ქორწინება". ფილმ-სპექტაკლი. 18.00 — საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო გვატყობინებს. 18.10 — ფილმ-სპექტაკლის „გადარეული დღე, ანუ ფიგაროს ქორწინება". გაგრძელება. 19.25 — დოკუმენტური ფილმი „ბრალად ედებათ მოწმეებს". 20.30 — მუსიკალური ტელეფილმი „გეორგ ოტსი და საბჭოური სიმღერა". 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 22.00 — „ვრემია". 22.40 — მხატვრული ფილმი „შმაგთა სარბიელი". 24.00 — ექო: ერთი კვირის ამბები. 0.15 — დოკუმენტური ტელეფილმი „ჩვენ ერთად ვსწავლობთ". 0.45 — თავისუფალი ჭიდაობა.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 00352 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14